73

ეროვნული

1927 საახალწლიო ბიბლიოთეკა. № 6

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი.

		გვ.
1.	დროა ვიფიქროთ ექსკურსიების მოწყობაზე—ვასო-ძეს	2
2.	დოლის ხმა—ა. ალტაევის	3
3.	პიონერის ნატვრა—ლექსი—ე. პოლუმორდვინოვის	6
4.	პირველი დღე კომკავშირში—ლექსი—გ. მებუკის	„
5.	ზაჰეს—ლექსი—ლ. ანანიაშვილის	„
6.	ორი კანონი (დასასრული)—კ. ლეოს.	7
7.	ქართული მუშურ-გლეხური არმია—ვ. დოლიძის	11
8.	შანხაი აღებულია—კ. ლ.	12
9.	პიონერები და სასოფლო მეურნეობა—აგრონომის	13
10.	ვიზრუნოთ ჯანმრთელობაზე—მ. გორგაძის	15
11.	კავშირის დასავლეთის ძმებთან	16
12.	ჩვენი ძმები მსოფლიოში	17
13.	ჩვენი ცხოვრება	18
14.	როგორ უნდა დაიწნას კალათები	19
15.	ბავშთა შემოქმედება	21
16.	გაიკეთე საკუთარი კალენდარი.	22
17.	თამაშობანი.	24

329.153 (05)
74
3-47
3-ს ბავშვთა კლასის საქმისათვის იყავ მზად.

პიონერი

1927
30 მარტი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქართველოს მ. ჯ. ო. ცენტრალური მიწოს (საქ. ა. ღ. კომკავშირის ცეკასთან) ჟურნალი მაგშვმისათვის

წელიწადი II
№ 6

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ოქტომბრის გუშაგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროა ვიფიქროთ ექსკურსიების მოწყობაზე

პიონერებმა გაზაფხულის პერიოდის მუშაობაში ახალი ამოცანებიც უნდა დაისახონ. თუ ზამთარში ჩვენს მუშაობას ჰქონდა „დარბაზჩაკეტილობის“ ხასიათი, გაზაფხულის განმავლობაში კი უკვე სუფთა ჰაერზე მუშაობის საშვალება გვეძლევა.

თუმცა ჯერ ამინდი საკმაოდ არ გამთბარა, გაზაფხული უკვე დამდგარია და, ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ახლავე შევუდგეთ სამზადისს პიონერ-მუშაობის საგაზაფხულო გეგმის შესადგენად.

პიონერ-მუშაობის გაზაფხულის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ექსკურსიებს. გეგმაშეწონილი ექსკურსია საუკეთესო მეთოდია ბავშთა აღზრდის საწარმოებლად. ერთის მხრით იგი აძლევს ბავშს განვითარებას, შეასწავლის ბუნებას, აცნობს მას ამა თუ იმ ადგილს და მეორეს მხრით ემსახურება მას, როგორც განმაჯანსაღებელი საშუალება.

ამიტომ, ჩვენ უნდა ვეცადოთ მის მიზანშეწონილად ჩატარებას, დაწვრილებით უნდა გავერკვეთ იმაში, თუ რა მიზანს ისახავს ასეთი ექსკურსიები.

უპირველესად ყოვლისა უნდა შევადგინოთ ექსკურსიის გეგმა განსაზღვრული პერიოდისათვის. ეს გეგმა შედგენილი უნდა იქნეს ისე, რომ ბავშებმა არა მარტო გაიმაგრონ ჯანმრთელობა და ჩაატარონ საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა, არამედ ცოდნაც შეიძინონ.

ექსკურსიების საწარმოებლად უნდა შემუშავდეს ერთგვარი სისტემა. უნდა დავიწყოთ ერთდღიანი ექსკურსიებით და გადავიდეთ მრავალდღიანზე. ერთდღიანმა, მარტივმა ექსკურსიებმა უნდა მოამზადოს პიონერები მრავალდღიანი, უფრო რთული ექსკურსიე ბისათვის.

ერთდღიანი ექსკურსია უნდა ისახავდეს მიზნად, უმთავრესად, ბუნების ძალთა გამოყენებას სხეულის გასაკაჟებლად. რაიმე საზოგადოებრივი საქმის წარმოება ერთდღიანი ექსკურსიის დროს შეუძლებელია.

მრავალდღიანი ექსკურსიები კი ისახავენ მიზნად საზოგადოებრივ-სასარგებლო სამუშაოთა წარმოებას. ასეთი ექსკურსიის გეგმა განსაკუთრებულად უნდა იქნას შედგენილი.

ჯერჯერობით გაზაფხულის პირველ პერიოდში საჭირო იქნება ერთდღიანი ექსკურსიები და ამიტომ შევჩერდებით ასეთი ექსკურსიების მოწყობაზე.

ერთდღიანი ექსკურსიის ჩასატარებლად უნდა ვეცადოთ შევარჩიოთ ისეთი ადგილი, რომელიც მდებარეობს მახლობლად და რომლის გზის გავლაც ბავშისათვის არ იქნება საზიანო. ეს მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 5—7 ვერსს (მატარებლით 20—25 ვერსს).

საექსკურსიო ადგილის შერჩევა უნდა ხდებოდეს პიონერთა დაინტერესების, მათი სურვილის მიხედვით. ამ ადგილს კარგად უნდა იცნობდეს წინამძღოლი. თუ საშეფო სოფელია, წინამძღოლს უნდა შეეძლოს ყოველგვარი ცნობების მიწოდება პიონერთათვის ამ სოფლის ყოფა-ცხოვრების შესახებ.

ექსკურსიის ჩატარების ტეხნიკურ მხარესაც აგრეთვე უაღრესი მნიშვნელობა აქვს.

ექსკურსიის წინ კრებაზე უნდა გამოეცხადოს პიონერებს, თუ რა არის საჭირო წამოსაღებად. ყოველ პიონერს უნდა ჰქონდეს ჩანთა საუზმით, ჩასაწერი წიგნაკი და ფანქარი.

ამის გარდა საჭიროა ექსკურსიაზე თან ვიქონიოთ ბურთი, ბარაბანი და დროშა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ექსკურსიაზე წასვლა უგეგმოდ შეუძლებელია, ეს გეგმა კი უნდა შესდგეს საექსკურსიო ადგილის პირობების მიხედვით.

ექსკურსიების ჩასატარებელი ამინდი მალე დადგება. მათი გამოყენება, მათი გეგმიანი ჩატარება არის ერთი საუკეთესო საშვალებათაგანი ბავშთა კომუნისტური აღზრდის დარგში. ამიტომ მისი ამოცანები ახლავე უნდა გაითვალისწინონ პიონერებმა და მომენტს მომზადებულად უნდა შეხვდენ.

ვასო-ძე.

სოფლის პიონერებო, მოგვწერეთ, თუ როგორ მუშაობთ, რა დაბრკოლებები გაქვთ მუშაობაში და რა წარმატებებს მიაღწიეთ, როგორ უყურებენ თქვენს მუშაობას გლეხები, გაქვთ კავშირი აგრონომთან თუ არა და სხვ.

75
ეროვნული ბიბლიოთეკა

I.

ვანომ სწორედ ახლა დაასრულა მხურვალე სიტყვა იმის შესახებ, რომ დედამისმა ის თან წაიყვანოს სამსახურში.

დედა კი სვამს ჩაის და ეუბნება:

— არსადაც არ წახვალ. სამსახურიდან მოვალ, ვისადილებთ და შემდეგ ერთად გავისეირნებთ ბაღში ნახევარი საათით. კვირადღეს ისეირნებ.

ვანო ბურტყუნებს:

— იჯექი სახლში და უყურე ფანჯრიდან, თუ სხვები როგორ დარბიან, თამაშობენ...

— აი, სწორედ მაგიტომ არ გიშვებ, რომ ყველა ქუჩის ბიჭებთან არ დაიწყო თამაში.

შემოდის მათი მეზობელი ქალი.

— მე თქვენ შემოგიარეთ. წავიდეთ, თორემ გვიგვიანდება.

— ოხ, როგორ მომბეზრდა ეს ყველაფერი,— უპასუხებს ვანოს დედა. ჩემს ვანოს ინგლისელი ძიძა ჰყავდა, გვქონდა მშვენიერი ბინა, ქონება, ავლადიდება, ახლა კი ვზივართ ამ სოროში. ირბინე მუდამ სამსახურში და მთელი დღე უტყაპუნე საბეჭდ მანქანას! სთქვით ერთი, განა შემიძლია მე გავუშვა ჩემი შვილი, რომ ირბინოს ყოველ ქუჩის ბიჭთან? აი, ამას წინათ ასწავლეს მას ხელებით ჭამა და თითებით ცხვირის მოხოცა. მე არ მინდა, რომ ჩემი ვანო დაუმეგობრდეს ვიღაც ბიჭებს, რომელნიც ქუჩებში ჰყვირიან და წითელ ნაჭრებს აფრიალებენ. მას უნდა ახსოვდეს, თუ როგორი ოჯახის შვილია ეგ.

მაგრამ ვანოს არ შეიძლება ეს ახსოვდეს. ის მხოლოდ ცხრა წლისაა. მამამისი ინჟინერი იყო და მოკვდა, როდესაც იგი 1 წლის იყო. ერთი წლის შემდეგ კი გაქრა მშვენიერი ბინაც, ინგლისელი ძიძაც და ხავერდის ტანსაცმელის მაგივრად გაჩნდა უბრალო, ბამბაზიის.

ის მთელი გულით და სულით ეკუთვნის ამ ახალ ცხოვრებას, იმიტომ რომ ყოველდღე უხდება მას შრომა, სივიწროვის ატანა. მთელი დღე სახლშია და ალაგებს ოთახს, რეცხს ჭურჭელს, ფცქვნის კართოფილს.

ახლაც წავიდა დედა და კარები გასაღებით დაუკეტა.

II.

ვანო იღებს ცოცხს და ჰგვის ოთახს, მაგრამ მას ეს მალე ბეზრდება და მირბის ფანჯარასთან.

ფანჯრიდან მზე შემოსცინის. წკრიალებს ბავშთა მხიარული ხმები. ვანო ფანჯარაზე დგება.

ქვაფენილზე ბავშები დარბიან, მიაქვთ დიდი ბურთი. ალბათ, სადმე ფეხბურთს ითამაშებენ.

ქვაფენილს უახლოვდება მაღალ-მაღალი შავულვაშა კაცი, მას ჯაჭვზე უჭირავს კარგა მოზრდილი მაიმუნი.

ეს კაცი ხმამაღლა და მხიარულად გაჰკივის:

— აი, ბავშების საუკეთესო გასართობი.

— ამ მაიმუნს უძახიან ქალბატონ მაროს.

— აი, ქალბატონი მარო სასეირნოდ მიდის.

— აი, ქალბატონი მარო თავის ქალს ცეკვას ასწავლის.

რათ უნდა იჯდეს ვანო ამ ჩაკეტილ ოთახში, თითქოს ციხეშია მომწყვდეულიო! რა მოწყენილობაა. ერთადერთი გასართობი წიგნია, ისიც კარგა ხანია წაიკითხა. შვიდი საათის განმავლობაში ჩაკეტილი უნდა იყოს.

ამ დროს კარის ბრახუნი ესმის.

ვანო წამოხტება და მორბის.

— ვასო, შენა ხარ?..

— ჰო, წიგნი წაიკითხე?..

— წავიკითხე. მომეცი მეორე.

— ახლა თან არა მაქვს. არც დრო მაქვს, კოლექტივში მივდივარ. დღეს ჩვენ გამოსვლა გვაქვს.

გუშინაც სწორედ ასევე მოვიდა ვასო მასთან და დაკეტილი კარებიდან უამბობდა ვანოს, თუ როგორ გავლენ ისინი ბანაკად, როგორ იცხოვრებენ იქ და ვანოს გონებაში ნათლად გამოიხატა მიმზიდველი სურათი: ტყე, ტყეში მწვანით დაფარული ვაკე, ვაკეზე ოთხი კარავი. სამზარეულო. მიწის თხრილში ანთია ცეცხლი. ცეცხლზე სდგას ქვაბი კართოფილით. გარშემო კი შემოხვეული არიან პიონერები და მხიარულად ბაასობენ, ხუმრობენ ერთმანეთში. აი მდინარეც. მზის სხივებზე ბრწყინავს მობანავე ბავშვების მზით დამწვარი ბრინჯაოსფერი სხეული. პიონერები გორაობენ ქვიშაში და თევზებივით დაცურავენ წყალში. შემდეგ კი ესმის დოლის ხმა, რომელიც უძახის ყველას სასადილოდ შეგროვებისთვის. ნათლად, ნათლად ესმის ვანოს ეს დოლის მიმზიდველი ხმა და გული უცემს უფრო ძლიერად, უფრო უწყლულდება გრძნობები.

მას უნებლიედ ცრემლები გადმოსცვივდა და ატირდა.

— მშვიდობით, ვანო!—ეუბნება ვასო კარების გარედან. დროა წავიდე. ძალიან მწყინს, რომ ვერ გნახე წასვლის წინათ. დედაშენი კიდევ არ გიშვებს პიონერებში ჩასაწერად?..

— არ მიშვებს.

კარების გარედან ისმის ნელი ამოოხვრა, გულისწყრომის ნიშნად.

— აბა, მშვიდობით. წიგნი მომეცი.

ვანო ძლივს აძვრენს კარის ქვეშიდან კარგა სქელ წიგნს: „პატარა ველურები“. ეს წიგნი მან ბოლომდე წაიკითხა და როდესაც ვასოს უბრუნებდა, წაკითხული უცბად წარმოიდგინა თვალწინ.

ვანო სასწავლებელშიც კი არ დადიოდა, რომ არ ჩავარდნილიყო ამხანაგების ცუდი გავლენის ქვეშ. თვით დედა ასწავლიდა მას და ეს ერთფეროვანი გაკვეთილები მისთვის ძლიერ მოსაწყენი იყო.

ერთადერთი სასიხარულო რამ მისთვის ვასო იყო, რომელიც წიგნებს აწოდებდა, მაგრამ ახლა ისიც შორდებოდა მას.



პატარა ხელები ჩასჭიდა წვიმის სადენ მილს და მეოთხე სართულიდან დაბლა ჩაეშვა.

— მშვიდობით, ვანო!..

ვანომ არაფერი უპასუხა. მას უნებლიედ ცრემლები გადმოსცვივდა და ატირდა.

კარებს იქიდან მოისმოდა მიმავალი ვასოს ფეხის ხმა. ის წავიდა. ყველაფერი მიჩუმდა.

III.

ვანო ისევ ფანჯარასთან მივიდა. მან დაივიწყა, რომ ოთახი ჯერ კიდევ დასაგველი ჰქონდა, მაგიდა

76

აულაგებელი და და კართოფილი გაუფცქვნელი. შედგა ფანჯარაზე და დაიწყო ცქერა ქუჩაში.

მის თვალწინ გადაიშალა მოედანი, რომელზედაც ირეოდა ხალხი, განუწყვეტლივ მოძრაობდა ავტომობილები, ეტლები, ისმოდა ყურში ჩამწვდომი წკრიალი ტრამვაის ზარების.

და უცბად ამ ხმაურში შემოიჭრა დოლის ხმა:

— ტრამ-ტამ-ტამ! ტრამ-ტამ!.. გულში ჩამწვდომად ავრცელებდა ამ ხმებს დოლი და ხმებში გამოჰკრთოდა ძალა და სიმხნე.

— ტრამ-ტამ-ტამ! ტრამ-ტამ!.. უფრო ღრმად და უფრო მიმზიდველად ხვდებოდა ვანოს პატარა გულს ეს ხმები.

— იყავ მზად!..—გაისმოდა მეგობრული ამოძახილები.

— მზად ვარ!..—გაისმოდა პასუხი.

ვანო მთლად გადიხარა წინ, რომ უფრო კარგად დაენახა ქვევით მისი სახლის წინ მიმავალი პიონერები.

მან უცბად გაიხსენა ყველაფერი, რაც ვასომ უამბო პიონერების სიმტკიცეზე, ყაჩაღობაზე, ცხოვრების ყოველგვარ პირობებთან შეგუებაზე, მუშაობაზე და სუსტების დაცვაზე.

მან ბევრი რამ იცოდა პიონერების შესახებ ვასოსაგან, დედამისმა კი ეს ეჭვითაც არ იცოდა. მას ძლიერ ეჯავრებოდა პიონერები.

ვანომ გაიხსენა, რომ პიონერი მხნე უნდა იყოს და ტირილი შესწყვიტა. მან დაიწყო ფიქრი იმის შესახებ, თუ როგორ შეერთებოდა მათ, რომ მათთან ერთად ყოფილიყო ისიც, რომ მასაც მწყობრი ნაბიჯები გადაედგა დოლის ხმაზე.

პიონერები კი მღეროდენ:

— ჩვენ, ახალგაზრდა გვარდია
მუშებისა და გლეხების...

ვანო მთლად გაძვრა ფანჯარაში. მას იზიდავდა ქუჩაში აფრიალებული ბაირაღები, დოლის ხმა და მხიარულება.

უცბად მან დაინახა ვასო, რომელიც მოდიოდა დროშით ხელში. ვანომ წასდგა ერთი ნაბიჯიც წინ და ხმამაღლა დაიძახა:

— ვასო!. მე შენთან მოვდივარ!..

ამ სიტყვებზე თავისი პატარა ხელები ჩასჭიდა წვიმის წყლის სადენ მილს და მეოთხე სართულიდან დაბლა ჩაეშვა.

არც კი ესმოდა, თუ რას შვრებოდა. მისი ხელები სცურავდენ მილზე და ხშირად ეხებოდენ მავთულებს, რკინებს. ის აუტანელ ტკივილს გრძნობდა.

ასე ჩაცურდა ვანო ორი სართულის სიგრძეზე და მერე გადიხედა ძირს. გონება აერია. ხელები მიუსუსტდა და ძარღვები დაეჭიმა.

ძირს კი ზღვასავით ირეოდა ათასი თავი და ჰკრთოდა წითელი დროშა.

ვანო უცებ მოსწყდა მილს და თავდაყირა დაეშვა ძირს. მის ყურებში არეულად და ბუნდოვანად ისმოდა სიტყვები:

— ჩამოვარდა!..

— ვაი, ვაი!.

— სად?. ვინ?..

— აგერ, იმ ფანჯრიდან.

— ბიჭი?

— მოკვდა.

ო. ბ-ი.

აიყვანეს ხელში უგრძნობლად მყოფი ვანო.

ვიღაცა ხმამაღლა ტიროდა. უცბად შეჩერდა ტრამვაი. ჩამოვარდნილი ვანოს მახლობლად ხალხი შეგროვდა, საიდანღაც გაჩნდა ექიმიც.

ვანო უძრავად იწვა. ის გრძნობაზე მოიყვანეს, და უპირველეს ყოვლისა მან დაინახა ვასოს თმაშეკრეჭილი თავი.

— რა მოგივიდა, ვანო!..

ვანოს კი თავბრუ ეხვეოდა. თვალების წინ უტრიალებდა ყველაფერი, მთელი ტანი სტკიოდა.

მერე წაიყვანეს საავადმყოფოში და გადაუხვიეს ნაღრძობი მუხლი.

საიდანღაც გამოჩნდა მტირალი დედაც.

რამდენიმე თვის შემდეგ კი ვანო მთლად მორჩა და პიონერებში ჩაეწერა.

ის სახეზე ღიმგადაკრული ამბობდა, რომ დაამარცხა დედა და თავისას მაინც მიაღწია, თუმცა მიღწევა ძვირად დაუჯდა.

ა. ალტაევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერის ნატვრა.

მალე, სულ მალე მოვა ზაფხული,
მიახლოვდება თხუთმეტი წელი,
შემიპყრობს ლხენა ჯერ არნახული,
სიამით ახალ ცაზე ვიწევი...

—

დარდად მინთია ძველი სურვილი,
წინ მივისწრაფი და მენატრება,
ისე ვინ ჩაჰკლას ჩემი წყურვილი,
გული მის შესმით თუ ვერ დათვრება?!.

—

ქალაქში ბევრგან ვხედავ ქარხანას,
შავი კვამლით რომ ცას ებჯინება,
სადაც გრიალებს რკინის მანქანა,
და შრომის ოფლი მკერდს ედინებათ...

—

რა კარგი არის, რკინათ ხმაურში
ჩემსა ღიღინსაც რომ ვაქსოვებდე,
და ეს მკლავებიც აურზაურში
ასე უსაქმოდ არა მტოვებდეს.

—

თუმცა დღეები წავა თავისით,
შრომის წიაღში მეც გავიზრდები,
თან გამომყვება ჩემი ხალისი
და მანქანასთან მტკიცედ ვიდგები.

—

ჯერ კი დავდივარ კლუბში, სკოლაში,
და ყელსახვევით ვიწონებ სახელს,
ვინ ჩამიწვდება ღრმა გულისთქმაში,
სად პიონერულ სურვილებს ვახვევ.

—

ჩემი ფიქრები წინ უსწრებს დღეებს,
და მომავალი მიკქერს თვალებში,
გადავირბენდი ლოდინის ხევებს
ასეთ წყურვილის სიმხურვალეში.

—

ანთებულიყოს, ნეტავ ზაფხულიც,
შევსრულდებოდე თხუთმეტი წლისა,
რომ ყელსახვევთან შეხმატკბილებით
გულს მივიკრავდე ა. ლ. კ. კ.-ას ნიშანს.

ელიზბარ პოლუმორდვინოვი.

პირველი დღე კომკავშირში

გუშინ მიიღეს ის კომკავშირში
და დღეს პირველად დაესწრო კრებას,
მიდის შინისკენ, გართული ფიქრში,
გაუტაცნია შთაბეჭდილებას.

ორატორისას იგონებს სახეს,
იგონებს სიტყვებს, კრებაზე ნათქვამს,
უკვე გარჩეულ საკითხებს არჩევს
და ხელმეორედ უკეთებს დასკვნას.

—

სწყვეტს, რაც გაიგო დღეს მან კრებაზე,
მშობლებს აუხსნას, გააგებინოს,
და უსარგებლო ჩვეულებაზე
როგორმე ხელი ააღებინოს.

—

დღეს მიემატა ის მებრძოლთ რიგებს,
დღეს ის პირველად დაესწრო კრებას.
მიდის შინისკენ და თანაც ფიცს სდებს:
არ უღალატებს ლენინის მცნებას.

პიონერი გ. მებუკე.

ზაჰეს

ელვის სისწაფით მოხვალ ტფილისზე,
და აღტაცებით მოგელოდები,
შენ უნდა იყო ჩემთვის თბილი მზე,
უნდა დაადნო მეტეორები!

მწუხარე სახე, ვგრძნობ, მიბრწყინდება,
ამირანივით რომ მოაბიჯებ,
ზაჰესო! მგონი ასე იქნება,
რომ ააყვავებ მტკვარის ნაპირებს.

სხვა პოეტებთან მეც შენ გადიდებ,
სხვა პოეტებთან მეც გიძღვნი ოდებს,
საქართველოში ვერვინ მატირებს,
საქართველოში მეც გვერდით მოგდევ.

მეტეხი სიონს ებუტბუტება,
სასიხარულო ამბავს აუწყებს,
საბჭოთა მიწა ჩაგეხუტება,
თუ დანაპირებს მას წინ დაუწყებ.

ჩემ აღტაცებას არ აქვს საზღვარი,
ზაჰეს, მიხარის, რომ მოხვალ მალე,
შენ აზიაში ანთებ ლამპარებს,
მე კი სირბილით კვლავ დავიღალე.

ვგრძნობ, გულის ძგერა თითქოს შენელდა,
და მტკვარში ვეძებ ამღვრეულ სახეს,
მეც მინდა გიძღვნა წმინდა ლეგენდა
სხვა პოეტებთან, მზიურო ზაჰეს!

ლ. ანანიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



(დასასრული)

გავიდა კიდევ რამდენიმე კვირა. ზღვა არ გაიხსნა. ტყვილად უყარაულებდენ ყინულის ჭებს მონადირეები, ტყუილად დათარეშობდენ ირგვლივ მიდამოებში: სელაპები არ ამოდიოდენ, დათვები არა სჩანდენ. რამდენსაც არ უფრთხილდებოდენ, მარაგი გამოილია. ჯერ ულუფას მოუკლეს, შემდეგ ძაღლები დაჰკლეს. ხორცს ინუიტები სჭამდენ, ძვლებს დანარჩენ ძაღლებს უყრიდენ. შიმშილი ახლა როგორც აჩრდილი კი არ ელანდებოდა მათ, არც უკაკუნებდა მათ კარებს, შიმშილი უკვე შემოვიდა, როგორც გამარჯვებული მტერი, ამათ გაყინულ ქოხებში და დაეუფლა მათ.

ქოხში ბნელოდა. ჩამქრალი ცეცხლი ოდნავ ბჟუტავდა, ყველანი ძირს ეყარენ. ინოს არ ეძინა და არც ეღვიძა. მას უკვირდა, რომ განძრევა ეზარებოდა სისუსტისაგან, მაგრამ მის წინ სანატრელად იხატებოდა მოლივლივე გახსნილი ზღვა, აუარებელი თევზი, ჩრდილოეთის ნათება, ირმები, მამის სახე, დედა, ძმა და თეთრი სტუმრები... მაგრამ უცებ გაახსენდა, რომ ისინი ყველანი აქ წვანან და რომ ყველანი უნდა დაიხოცონ... ის შეშინდა და გამოერკვა, გაიღვიძა.

ცივა, ბნელა, პირიდან ამოსული ორთქლი რთვილავს მათ სახეებს და ტანისამოსს, ქოხის ჭერსა და კედლებს.

ვიღაცამ კარებთან დაიძახა.

ინოს მამა ზლაზვნით ადგა და გასწია ხვრელისაკენ.

ინომ იცის, რომ მამას საჭმელის გასანაწილებლად დაუძახეს. იმათაც ერგებათ სელაპის ქონის და ძაღლის ხორცის დაკლებული ულუფა, მაგრამ რა ცოტა იქნება ეს ულუფა...

— შეჩერდი, ბელადო, — სელკირკ ადგა, ის ბარბაცებდა, სისუსტით ძლივს იდგა ფეხზე, — მიდიხარ საჭმელის დასარიგებლად?

— დიახ, უნდა დავანაწილო!

— რამდენ დღეს გვეყოფა კიდევ მარაგი?

ერთი, ორი ან სამი დღე. თუ კიდევ შევამცირებთ ულუფას, იქნება ოთხსაც გვეყოს.

— რამდენი ადამიანი დარჩა კიდევ ცოცხალი ტომში?

რვაჯერ იმდენი, რამდენიც თითი მაქვს ხელებზე.

— ოთხმოცი კაცი, — ბუტბუტებს ინგლისელი თავისთვის, — როდის გაიხსნება ზღვა?

— არ ვიცი, შეიძლება იმდენი და კიდევ იმდენი დღე გავიდეს, რამდენიც თითი მაქვს ხელებზე, შეიძლება კიდევ მეტი დროც გასტანოს.

— დაახლოვებით ერთი თვე, — ბუტბუტებს სელკირკ. თქვენ გეყოფათ საჭმელი, ბელადო! — სთქვა მან.

— შენ უთუოდ შიმშილისაგან ჭკუაზე სცდები, თეთრო... აკი გითხარი, მარაგი ერთ-ორ დღეს გვეყოფა მეთქი! ჩვენ უთუოდ ველარ ვიხილავთ ზღვის გახსნას.

— თქვენ გეყოფათ საჭმელი, ბელადო!.. გესმის... თქვენ გეყოფათ... არ წახვიდეთ საჭმელის დასარიგებლად. შენ არ უნდა დახოცო შენი ცოლშვილი შიმშილით იმათი გულისათვის, რომლებიც, სულერთია, დაიხოცებიან!

ესკიმოსს არაფერი ესმოდა, იდგა გაუნძრევლად და შესცქეროდა ევროპელს თვალდაჭყეტილი. სახეზე და თვალებში შიში და გაუგებრობა ეხატებოდა.

— არ წახვიდე მეთქი საჭმელის დასარიგებლად, გესმის, — დასუსტებული ხმით, მაგრამ მტკიცედ განიმეორა სელკირკმა, — აბა, იფიქრე, დაუნაწილებ იმათ საჭმელს თუ არა, სულერთია, დაიხოცებიან. აბა, იფიქრე კარგად, იმათი გადარჩენა არ შეიძლება... და ჩვენ კი საჭმელი გვეყოფა... ვნახავთ ზღვის გახსნას, გავიგონებთ ფრინველების ხმას. სანადიროდ წავალთ, შენი შვილები იცოცხლებენ... — გესმის, იცოცხლებენ... მე და ჯონიც გადავრჩებით. წავალთ აქედან... მაგრამ ჩვენ ისევ მოვალთ და მოგიტანთ თოფებს, დანებს, ფერად-ფერად მძივებს — ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც გინდათ. აბა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იფიქრე, იმათ, სულერთია, ვერაფერს უშველი. ჩვენ კი ვიცოცხლებთ.

ესკიმოსს თითქოს თანდათან უფრო და უფრო ესმოდა, რაც უნდა ეთქვა.

— შენ გინდა, რომ მე გავძარცვო ჩემი ტომი?—სთქვა მან გაუბედავად, მას თითქოს ეშინოდა, რომ კარგად ვერ გაიგო, რაც უნდა ეთქვა მის სტუმარს და ეშინოდა, უნებური შეურაცხყოფა არ მიეყენებია.

— მე მინდა შენ და შენი შვილები გიხსნათ სიკვდილისაგან, გაიგე? ყველას ხსნა შეუძლებელია!

ესკიმოსი ბელადი ერთხანს გაშტერებით შესცქეროდა მას, შემდეგ წარმოსთქვა მედიდურად და მტკიცედ, ისე, როგორც ლაპარაკობენ ყოველთვის განსაკუთრებულ შემთხვევაში ყველა ველურების ბელადები. თითქოს მისი პირით ლაპარაკობდა ჩრდილოეთის ველური ტომის ძველი კანონი:

— ოჰ, თეთრო ადამიანო, არ ყოფილა დედამიწის ზურგზე ასეთი ინუიტი და არც იქნება. არც ერთი ჩვენთაგანი, ზღვის ლომზე მონადირეთაგანი, არ ვიკადრებთ დავუმალოთ, ან წავართვათ ტომს ერთი ლუკმა საჭმელიც კი... თეთრო, შენ სთქვი, შენი შვილები ცოცხლები გადარჩებიანო... იმათი აჩრდილები, ვისაც ჩვენ წავართმევთ საჭმელს, დალევენ ჩემი შვილების სისხლს, საშინელი მოჩვენებებით მოუწამლავენ იმათ ძილს. შავ ღამედ გადაიქცევა მათთვის ნათელი დღე... ნადირი დასცინებს მონადირე ინოს და მოაგონებს მას მამის სირცხვილს. ზღვის პირად ფრინველის კივილშიც კი ის მისი მშობელი მამის შეჩვენებას გაიგონებს. მისთვის, როგორც კანონის დამრღვევის შვილისათვის, სიცოცხლე სასირცხვო იქნება!..

თეთრო, როდესაც შენ მოხვედი ჩვენთან გაყინული და დასუსტებული, ტომს არ უკითხავს, გვეყოფა თუ არა საჭმელი შენთვის, გვეყოფა თუ არა ცეცხლი, რომ გაგათბოთ, და შენ კი ამბობ, რომ წავართვა ტომს საჭმელი?!

წადი, თეთრო, ჩვენგან... მოგვშორდი. მე მრცხვენია შენთან ერთ ჭერ ქვეშ ცხოვრება, მრცხვენია შენი შემოხედვა, ტომის გაძარცვის რჩევისათვის.

— მაშ უნდა დაიღუპო შენც შენ ტომთან ერთად, ბრიყვო, ველურო... დაიყვირა ინგლისელმა და თუმცა ხელები არ ემორჩილებოდა სისუსტისაგან, მოიკრიბა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ასწია თოფი და მიუშვირა ესკიმოსს... მაგრამ სწორედ ამ დროს ჯონი, რომელიც კარგახანია მიუხვდა თავის ამხანაგს აზრს, დასუსტებული ბარბაცით ადგა, მიუახლოვდა მოლაპარაკეებს, ჩადგა მათ შორის და შესძახა:

— დაუშვი თოფი... მე არ შემიძლია...

სელკირკმა დაუშვა თოფი.

— შენ ყოველთვის მტირალა იყავი,—უთხრა მან ჯონს,—მაშ შიმშილით ხომ არ უნდა მოვკვდეთ

თოფის ხმამ და კვამლმა აავსო ქოხი...

ასე სულელურად, ცხვრებივით.—ბელადო, მიუბრუნდა ის ესკიმოსს,—მე შენ გელაპარაკები, როგორც გონიერი ადამიანი გონიერ ადამიანს, როგორც მონადირე მონადირეს... კარგი, არ გინდა დაარღვიო შენი კანონი. გემორჩილები. მე დავიმორჩილე ჩემი გული, გამახსენდა, რომ შენ შემივრდომე და დამანაყრე... მაგრამ აი რას გეტყვი:—შეკრიბე შენი ტომი და უთხარი, რომ საჭმელი ყველას ორ დღეს ეყოფა, ხუთ კაცს კი მთელ თვეს. კენჭი ჰყარეთ. და ის ხუთი, ისინი, ვისაც კენჭი ერგება, გადარჩებიან სიკვდილს, ყველა, სულერთია, ვერ გასტანს. დაე, ჩვენ ნუ მოვხვდებით ამ ხუთში. მაგრამ კენჭმა გადასწყვიტოს. გესმის? მაშინ შენ ნახავ, როგორ ყოჩაღად შევხედავ სიკვდილს თვალებში. განა ერთჯერ და ორჯერ ვმდგარვარ სიკვდილის წინაშე?! მაგრამ იმედს არასოდეს არ ვკარგავდი და ახლაც არ შემიძლია მოვკვდე, როგორც ხარი სასაკლაოზე. დამიჯერე, ბელადო... თორემ ვიბრძოლებ ბოლომდე.

ესკიმოსმა ვერ გაიგო მისი სიტყვები. ის შეზრდილი იყო თავის ტომთან, როგორც ტოტი ხესთან, როგორც ხელი სხეულთან... მას ვერ გაეგო, როგორ შეიძლება თვითონ გადარჩეს და სხვები დაიხოცონ?.. მას მისცეს სიცოცხლე ტომისაგან წარ-

78 ეროვნული ბიბლიოთეკა

თმეულმა საჭმელმა? ის მრისხანედ შესცქეროდა თეთრს.

— ასეთი კანონის დამრღვევი ინუიტი არ არის ქვეყანაზე, — სთქვა მან.

— შენ თვითონ გადასწყვიტე შენი ბედი... აჰა, მიიღე...

თოფის ხმამ და კვამლმა აავსო ქოხი...

მაგრამ ესკიმოსი უძრავად იდგა თავის ადგილას... ინგლისელი დაეცა.

ინო დიდიხანია იდგა. ის სრულიად ვერაფერს ვერ მიხვდა თეთრის ლაპარაკიდან. ძალიან ცოტა გაიგო მამის ლაპარაკიდანაც. მაგრამ თეთრს თოფი ეჭირა ხელში. მამა კი იცავდა ტომის კანონს.

ინოს, როგორც მაშინ, დათვის მოკვლის დროს, ყველაფერი დაავიწყდა, ის მთლად დაიმორჩილა ინსტინქტმა.

ტომის კანონი...

ამ სიტყვებმა პატარა ბიჭს რაღაც გაუგებარი მღელვარე სიამაყე აღუძრა გულში. ეს კანონი დედის რძესთან ერთად შესისხლხორცებული ჰქონდა მთელ მის არსებას, ამ კანონის ძალაში იყო ესკიმოსების, ერთი მუჭა საბრალო ხალხის, ხსნა ამ საშინელ მკაცრ ბუნებაში, ისეთ ქვეყანაში, სადაც თვეობით არ სჩანდა დღის სინათლე, სადაც სიცივე და ზღვა შეერთებულიყო ადამიანის სამტროდ.

როდესაც თეთრმა ასწია თოფი, ინოს თვითონ არ ახსოვს, როგორ გაცხარებით ეცა ის მას ფეხებში და როდესაც კვამლი გაიფანტა, დაინახა, რომ სელკირკ ძირს იყო გაშხლართული. შემდეგ მივარდა თეთრს უფროსი ძმაც და დააწვა თავზე.

ტომის კრება

ჯონ გაშტერებული იდგა, კუთხეში კედელზე მიყუდებული. თავზარდაცემული დედა შეშინებული შესცქეროდა ყველას.

თეთრები შეკრეს... მოვიდენ ესკიმოსები, ლაპარაკობდენ, ბაასობდენ და შეშინებულნი უყურებდენ თეთრებს.

ინო მწარედ ტიროდა. საშინელება იყო ის, რასაც სელკირკ აპირებდა, მაგრამ მას ებრალებოდა თეთრები: რა მშვენიერი ზღაპრები და თამაშობა იცოდენ იმათ, განსაკუთრებით ჯონმა.

—

მეორე დღეს დილითვე დაჭროლა გრიგალმა, ასეთი ქარიშხალი არ ახსოვდათ ინუიტებს. თითქოს ცა გადმოინგრაო, თითქოს ესეც არის ქარმა ძირ-

დაიძრა ნავი.

ბუდიანად უნდა ამოჰგლიჯოს ესკიმოსების ყინულის ქოხებიო.

ორი დღე ღმუოდა და ღრიალებდა გრიგალი. როდესაც დაყუჩდა, ესკიმოსები გამოძვრენ თავიანთი ქოხებიდან და მხიარულად გაიღიმეს. იმათ იგრძნეს ქარის ცვლა, მათ შორიდან გაიგონეს ზღვის ხმაური. გრიგალმა დაამსხვრია ოკეანეს ყინულის საფარი — ბორკილი.

მეორე დღეს ხალხი გაემართა ოკეანეს პირად გრიგალისაგან დახოცილი სელაპების მოსატანად. საშინელ ყინულებს შორის შეცურდა ესკიმოსების პატარა ნავები სანადიროდ გასული მონადირეებით.

—

თეთრების წასვლის დღეც დადგა. სელკირკის საქციელი დავიწყებული იყო. ასეთია ჩვეულება: განაპირა ჩრდილოეთის შვილებმა არ იციან შურისძიება.

ორივე თეთრი ნავში ჯდებოდა. ოკეანე აქაფებულ ზვირთებს ისვროდა, ჩრდილოეთის მზეს ლაპლაპი გაჰქონდა. ფრინველების ყვირილი აყრუებდა მწირ ნაპირებს.

ესკიმოსების ჯგუფი გარშემო ერტყა თეთრებს.

— წამოდი ჩვენთან, — მიმართა ჯონმა ინოს.

სელკირკმა მხარი დაუჭირა ამხანაგს:

— გამოუშვი ინო, ბელადო.

ჩვენ მას ვასწავლით სიბრძნეს და ბრძოლის წესებს, რომელიც თავზარს დასცემს თქვენს მტრებს. ის დაბრუნდება და თქვენ სიმდიდრეს მოგიტანსთ.

— ინო დიდებული მონადირე გახდება თავის ტომში, —ნელა და სიამაყით წარმოსთქვა მამამ.

— ინო, შენ გინდა ჩემთან წამოსვლა? —ჰკითხა ჯონმა.

პატარა ბიჭს ენანებოდა ჯონის წასვლა... უცებ მას მოუნდა შორეული, უცხო ქვეყნის ნახვა და... ჩუმად იყო. შემდეგ გაიხედა ამაყად მდგომი მამისაკენ, თავისი ტომისაკენ, რომელიც ირგვლივ შეჯგუფებულიყო, გაახსენდა დათვის მოკვლა, მის თვალწინ გაიელვა მრავალმა ნადირობამ მომავალში, ცხადად წარმოიდგინა დედის სიხარული, როდესაც პირველად მოუტანს მას თავისი ხელით მოკლული სელაპის ეშვს.

— მე...—პატარა ბიჭი ერთ წუთს შემკრთალი იდგა,—მე ჩემი ტომის მონადირე გავხდები,— გაიმეორა მან მამის სიტყვები. მე არ მინდა წამოვიდე იქ, სადაც არ იციან რა არის ტომის კანონი!..

უკანასკნელი სიტყვები თითქოს მას არ უნდოდა ეთქვა, თითქოს მისი პირით ვიღაცა სხვამ სთქვა მის მაგიერ.

სელკირკ მოიღრუბლა და ჩაჯდა ნავში.

ჯონიც მოიღრუბლა, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ სახე გაეხსნა, დაიხარა და აკოცა ინოს.

— იცხოვრე, ბიჭიკო, შენ ხალხში და იყავი შენი კანონის ერთგული: ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის... ყოველთვის... ყოველთვის, სანამ ცოცხალი ხარ...

ჯონ ჩახტა ნავში და ათი წამის შემდეგ ძლივს მოსჩანდა ზღვის ტალღებში მისი ნავი, შემდეგ სრულიადაც თვალს მიეფარა.

ესკიმოსები ნელ-ნელა დაიშალენ. ინო უძრავად იდგა ნაპირას, იცქირებოდა შორს სივრცეში, იქითკენ, საითკენაც მიისწრაფოდენ თეთრები...

კ. ლეო.



მოსკოვში საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრ. კომიტეტთან გახსნეს ლენინის ინსტიტუტი. ინსტიტუტში თავმოყრილია ფრიად ძვირფასი მასალები და საბუთები. უზარმაზარ ბიბლიოთეკაში არის ლენინის თხზულებანი, ხელნაწერებიც და ნაბეჭდიც.

ინსტიტუტი ავრცელებს ლენინის მოძღვრებას. აქ გაეცნობიან ლენინის აზრებს.

სურათი წარმოადგენს ვ. ი. ლენინის ინსტიტუტს.

79
ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული მუშურ-გლეხური არმია.

21 მარტს საქართველოს წითელ ჯარს შეუსრულდა თავისი არსებობის ექვსი წელი.

25 თებერვალი იყო მენშევიკების ბატონობის უკანასკნელი დღე. ამ დღიდან დაიწყო ქართული წითელი ჯარის საფუძვლის ჩაყრა. 21 მარტს საქართველოს საბჭოთა მთავრობამ გამოსცა დეკრეტი, განკარგულება, რომლითაც უქმდებოდა მენშევიკების ყოფილი ჯარები და საფუძველი ეყრებოდა ახალ, მუშათა და გლეხთა წითელ ჯარს. ფრიად მძიმე საპასუხისმგებლო საქმე იყო იმ პირობებში წითელი ჯარის შექმნა საქართველოში. არ გვყავდა მუშების და გლეხების რიგებიდან გამოსულ წითელ მეთაურთა შემადგენლობა, ხოლო ძველი მეთაურები და ხელმძღვანელების დიდი უმრავლესობა მტრულად იყო განწყობილი მუშათა კლასის მიმართ. მიუხედავად ამისა, მუშათა მთავრობა დაბრკოლებებს არ შეუშინდა. მან კარგად იცოდა მშრომელი ხალხის რევოლუციონური შემოქმედებითი ძალა. მან გადადგა პირველი ნაბიჯი თავისი საკუთარი ჯარის შესადგენად. წითელი ჯარის შესაქმნელად ენერგიული მუშაობა დაიწყო და დღეს შეიძლება ითქვას, რომ ექვსი წლის მუშაობას არ გაუვლია უნაყოფოდ: მის რიგებს ავსებს საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობა. მასში ირაზმებიან აგრეთვე ის მცირე ერებიც, რომლებსაც არ უმსახურიათ არც მეფის და არც მენშევიკების ჯარებში.

სომხები, რუსები, თათრები, ოსები, ებრაელები და სხვა ერები დღეს წითელ ჯარში არიან და მას ისე უყურებენ, როგორც მშრომელთა ინტერესების ნამდვილ დამცველს, ერთგულ გუშაგს და ქომაგს. წითელი ჯარის რიგებში მყოფი სხვადასხვა ერების მშრომელები გამსჭვალული არიან პროლეტარული, ინტერნაციონალური სოლიდარობით. ამ მხრით ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ განვახორციელეთ ამხ. ლენინის ანდერძი ერთა სოლიდარობის განმტკიცების შესახებ, რომ ამ სოლიდარობას ჩავუყარეთ მტკიცე და ურყევი საფუძველი.

წითელი ჯარი დიდ როლს თამაშობს ლენინის მეორე და ძირითადი ანდერძის განხორციელებაშიც—სოფლის და ქალაქის დაახლოების და მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცების საქმეში. ის ამზადებს ახალგაზრდებს პოლიტიკურად და აჯანსაღებს მათ ფიზიკურად, ზრდის კულტურულად და ჩვენს სოფელს აქტიურ, საქმიან მუშაკთა ახალ-ახალ კადრებს აწვდის. ჩვენი ტერიტორიალური დივიზიის ნაწილები, რომლებიც გაფანტული არიან მთელ საქართველოში, დიდ კულტურულ მუშაობას ეწევიან ადგილებზე. დღემდე მათ დაარსებული აქვთ 6 კლუბი, 56 ლენკუთხე, (უმთავრესად სოფლად), 103 წრე, რომელშიც მონაწილეობს მთელი დივიზიის შემადგენლობა და სოფლის მცხოვრებთა საგრძნობი ნაწილი, დაარსებულია აგრეთვე 22 სამხედრო

ამხ. ს. ორჯონიკიძე
ქართ. წითელი არმიის ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანი

წრე, გამოდის 40 კედლის გაზეთი, მუშაობს 8 ძირითადი სამკითხველო და 87 მოძრავი,—27.000 წიგნით, რომლითაც სარგებლობს 3.000-მდე მუდმივი მკითხველი. ამით არ განისაზღვრება მისი მუშაობა სოფლის და ქალაქის მშრომელ მასაში. ყველა წერტილს მჭიდრო კავშირი აქვს სამოქალაქო პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანოებთან, და მუშაობას ეწევა ამ ორგანიზაციებში.

დღეს, როცა ვდღესასწაულოსთ საქართველოს წითელი ჯარის არსებობის 6 წლის თავს, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს წითელი ჯარი მტკიცედ სდგას წარმატებისა და განვითარების გზაზე. ის კიდე უფრო განმტკიცდება, გამძლავრდება და საჭირო დროს მედგრად დაიცავს მუშების და გლეხების სახელმწიფოს. თავისი არსებობის ექვსი წლის თავზე საქართველოს წითელი ჯარი აცხადებს, რომ ის მთელ მუშურ-გლეხურ წითელ არმიასთან ერთად ფოლადის კედლად აღუდგება წინ მშრომელი ხალხის მტრებს.

გაუმარჯოს საკავშირო მუშურ-გლეხურ წითელ არმიას და მის განუყრელ ნაწილს—საქართველოს წითელ ჯარს.

ვ. დოლიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შანხაი აღებულია

21 მარტს რევოლუციონურმა კანტონის ჯარმა [1]) აიღო შანხაი. ამჟამად იმის წარმოდგენაც ძნელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩინეთის რევოლუციისთვის ამ გამარჯვებას.



შავი ხაზი, ორ ხელს შუა მოთავსებული, უჩვენებს, თუ საით მიდის კანტონის ჯარი.

ჩინეთის უდიდესი სამრეწველო ცენტრი, უდიდესი სავაჭრო ქალაქი დიდი ოკეანეს პირად, ჩინეთის მეორე სატახტო ქალაქი შანხაი ამჟამად რევოლუციონერების ხელშია.

რეაქციონური გენერლების ჯარები სასტიკად დამარცხდენ, მაგრამ მარტო ისინი კი არ დაამარცხა ჩინეთის რევოლუციამ. ყველა ეს სუნ-ჩუან-ფანები, ჩონ—ძუნ-ჩანები, რომლებიც ასე სამარცხვინოდ განადგურდენ, მხოლოდ სათამაშო ტიკინები იყვნენ უცხოეთის იმპერიალისტების ხელში. და ახლა ამ კაპიტალისტურ-ბურჟუაზიული ქვეყნების—ევროპისა და ამერიკის—იმპერიალისტების მფლობელობას სასიკვდილო მახვილი ჩასცა ჩინეთის მუშისა და გლეხის ხელმა. რევოლუციის ყველა მტერი, უცხოეთის კაპიტალის ყველა ყურმოჭრილი მონა დაეცა! ყველა, გარდა ერთისა: მხოლოდ ჩან-ძო-ლინი ებრძვის ძლევამოსილ რევოლუციას.

მაგრამ შანხაის აღებამ რევოლუციონური მთავრობის ხელისუფლებაში 300 მილიონი ჩინეთის მკვიდრი მოაქცია, ჩან-ძო-ლინს მფლობელობაში კი დარჩა 100 მილიონი და ამ 100 მილიონიდან უმეტესი ნაწილი კანტონელებს თანაუგრძნობს. კიდევ ცოტა-ოდენი ცდა—და რევოლუციის დროშა აღიმართება პეკინში და მუკდენში, ისე, როგორც აღიმართა შანხაიში.

მაგრამ განა მარტო სამხედრო თვალსაზრისითა აქვს მნიშვნელობა შანხაის აღებას?

შანხაი მარტო კანტონელ ჯარს კი არ აუღია, შანხაი აიღო აგრეთვე კანტონის პროლეტარიატმა. მიუახლოვდა თუ არა ჯარი შანხაის, ქალაქში იფეთქა საყოველთაო გაფიცვამ და ამას მოჰყვა მუშების აჯანყება. აჯანყებულმა პროლეტარიატმა გარეკა თავისი ქალაქიდან რეაქციონერები.

ცხადია, რევოლუციის განვითარების ხანაში უფრო და უფრო ძლიერად გაისმის ჩინელი მუშათა კლასის ძლევამოსილი ხმა.

შანხაის პროლეტარიატი მტკიცედ იცავს ხელისუფლებას თავის ქალაქში და, გლეხობასთან შეკავშირებული, ჩქარა იგი გახდება ხელისუფალი მთელ 400 მილიონიან ჩინეთში.

ეს დრო უკვე ახლოს არის.

კ. ლ.

[1]) იხ. წერილი „პიონერი“ № 2, 1926 წ.

რევოლუციის გამარჯვება ჩინეთში სასიკვდილო ლახვარია მთელი ქვეყნის იმპერიალისტებისათვის. გაუმარჯოს განთავისუფლებულ ჩინეთს!

80 ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერები და სასოფლო მეურნეობა.

თესვის დროის მოახლოება ჩვენში განსაკუთრებულ მზრუნველობას და შესაფერის ყურადღებას მოითხოვს სოფლის მეურნეობის უშუალოდ დაინტერესებული ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა მხრით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მხრით სოფლად პიონერებს, მოწინავე ბავშებს, აქვთ, რომლებმაც აგრო-კულტურულ ღონისძიებათა ჩატარებაში და ამ მიზნით გლეხობის ამოძრავებაში ფართო მონაწილეობა უნდა მიიღონ.



ნახ. 1. სარკვევი მანქანა.

რა მნიშვნელობა აქვს თესვის კამპანიის შესაფერისად ჩატარებას და რა სარგებლობის მოტ ნა შეუძლია მას ჩვენი მეურნეობისათვის?

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უაღრესად სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა, ჩვენ მაინც ვერ მოგვყავს საკმარისი პურეული და ხშირად გლეხი იძულებულია ბაზარზე შეიძინოს დანაკლისი. ცხადია, ეს მძიმე ტვირთად აწვება ჩვენს გლეხურ მეურნეობას და მეტად აძნელებს და ადუნებს მისი განვითარების სისწრაფეს და შესაძლებლობას.

რა არის ამისი მიზეზი? ამის ერთადერთი ახსნა ჩვენს ჩამორჩენილობაში და სოფლის მეურნეობის განუვითარებლობაში უნდა ვეძიოთ. ჩვენ საუკუნეს, რომელსაც სხვა დარგებთან ერთად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაში უდიდესი მიღწევები ახასიათებს, თითქოს ჩვენამდე არც კი მოუღწევია: ძველი, მაპაპური გუთანი და კავი, გადაურჩეველი და დაუხარისხებელი თესლის ხელით თესვა, მოჭარბებული სარეველა მცენარეები,—აი, ჩვენი სოფლის და გლეხობის აგრიკულტურული დონის მაჩვენებელი. ასეთი მდგომარეობა კი დიდად სცემს ჩვენს სასოფლო მეურნეობას. მაგალითისათვის რომ ავიღოთ თესლი, დავინახავთ, რომ სათესლე მასალის შესაფერისად შერჩევისა და გაწმენდისაგან დიდად არის დამოკიდებული მოსავლის სიდიდე და აგრეთვე ღირსება; გლეხი ხშირად პურეულობასთან ერთად თესლის გაუწმენდლობის გამო კულტურული ნათესების საშინელ მტერს, სარეველა ბალახს, ავრცელებს, თესლის გადარჩევა კი აუცილებელია, რათა დათესოს რაც შეიძლება მსხვილი და მძიმე მარცვალი.

რად არის ეს საჭირო?

ახალ აღმონაცენებს, სანამ ფესვები არ განუვითარდება, არ შეუძლია საკვები მასალის ნიადაგი-



ნახ. 2. მათოხი.

დან ამოწოვა, მას უნდა ჰქონდეს მზამზარეული საკვები. მარცვალს რომ დაუკვირდეთ, შეამჩნევთ ჩანასახს და მის ირგვლივ ცილეულ ნივთიერებას (იხ. სურ.). სწორედ ეს ცილეული ნივთიერება წარმოადგენს საკვების მარაგს, რომელსაც ხმარობს ახლადაღმოცენებული მცენარე. ცილა ახალაღმოცენებული მცენარისათვის იგივეა, რაც ბავშისათვის დედის რძე.



ნახ. 3. კარგი სათესლე ტარო.

რაც უფრო დიდია ჩანასახი, მით უფრო უმჯობესია სათესლე მარცვლისათვის. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება კი შესაძლებელია, თუ მარცვალი იქნება მსხვილი და მძიმე.

ამას გვიმტკიცებს მარტივი ცდაც.

დათესილი იყო სხვადასხვა სიმძიმის მარცვლები, მხოლოდ ერთი ზომის. იმ ღღიურზე, რომელზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც უფრო მძიმე მარცვალი იყო დათესილი, გაცილებით მეტი მოსავალია მიღებული. ასეთი ცდები მრავალი იქნა ჩატარებული.

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც თესლი მძიმეა და მსხვილია, მაგრამ აღმოცენების უნარი სრულებით არ აქვს. ამისი მიზეზი შეიძლება იყოს თესლის სიძველე, მისი ცუდი შენახვა ან სხვა რამე. ყოველი შემთხვევისათვის საჭიროა წინასწარ თესლის აღმოცენების უნარის გაგება. ეს კი ძალიან ადვილია: უნდა აიღოთ სველი მაუდის ნაჭერი, შინ გახვიოთ აურჩევლად აღებული ასი მარცვალი და დასდოთ თბილ ადგილას. მაუდი ხშირად უნდა დაანამოთ. ხუთი დღის განმავლობაში თესლი იწყებ-



ნახ. 4. ტაროს თავი და ბოლო.

გაღვივებას. თუ ასში გაღვივებული თესლი 60—75 მაინც არ არის, დასათესად არ ვარგა, უმჯობესია სხვა მოიხმაროთ, უკიდურეს შემთხვევაში დაგვჭირდებათ თესლის მეტი რაოდენობით აღება.

სათესლე მასალის გადარჩევა ხდება ხორბლის დამრკვევი მანქანის საშუალებით. თუ ეს მანქანები არ მოგეპოვებათ, უნდა მიმართოთ მაზრის აგრონომს, რომელიც გამონახავს რაიმე საშუალებას და გადაურჩეველ თესლს არ დაგათესვინებსთ.

ამ შემთხვევაში სურათზე მოყვანილია, თუ როგორ უნდა გადაირჩეს სათესლე სიმინდი (იხ. სურათი).

უპირველესად ყოვლისა უნდა მივაქციოთ ყურადღება სიმინდის ტაროს. ტარო უნდა იყოს სწორი და გრძელი, რომელზედაც ბევრი მარცვალი დაეტევა; უნდა ჰქონდეს შესაფერისი სიმსხოც; ბოლო და წვერი ამოვსებული უნდა იყოს მარცვლით; გარდა ამისა საჭიროა, რომ მარცვალის რიგები იყოს სწორი და მჭიდროდ განწყობილი.

თუ მარცვალი მჭიდროდ არ არის მიკრული, ეს იმისი ნიშანია, რომ სიმინდი დაუმწიფებელია.

თვით მარცვალი უნდა იყოს საღი. გაშავებული, დაობებული ან ჭიისაგან გაფუჭებული არ ვარგა. მარცვალის ნასახი დიდი და გრძელი უნდა იყოს, როგორც ეს სურათზე არის ნაჩვენები. საუკეთესოა სათესლე ტაროს შუაგული, საიდანაც უნდა აიღოთ მარცვალი.



ნახ. 5. ტაროს შუაგული.

გამოანგარიშებულია, რომ ასეთი უბრალო და გლეხისათვის ადვილად განსახორციელებელი ოპერაციების ჩატარების შემდეგ, როგორიც არის თესლის გაწმენდა-დახარისხება, მოსავალი 15—25 პროც. იმატებს. გარდა ამისა, რამდენი აკლდება ჩვენი გლეხის ისედაც გაცრეცილ ჯიბეს იმის გამო, რომ ის ხელით დაფანტავს თესლს; ეს ხომ აშკარად წყალში გადაყრილი ქონებაა. მთელ საქართველოში ხელით თესვის გამო ტყვილა-უბრალოდ 600—700 ათასი ფუთი ხორბალი იკარგება, რაც საგრძნობ სიმდიდრეს წარმოადგენს. მწკრივად თესვას აგრეთვე მეორე ეკონომიური უპირატესობაც აქვს, რის გამო აქ ადგილი აქვს მუშახელის უფრო რაციონალურად გამოყენებას, მის დაზოგვას და სხვა.

ამრიგად, ამ აუცილებელ აგრიკულტურულ ღონისძიებათა ჩატარებით ჩვენ მეტად საგრძნობ შედეგს მივიღებთ, რაც ასწევს გლეხის შემოსავალს და ამასთან დაკავშირებით ის შეიქნება სოფლის მეურნეობის შემდეგი გაუმჯობესების მძლავრი მამოძრავებელი.

ამიტომ პიონერთა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, აგრონომიულ ძალებთან ერთად, მოხერხებულად უნდა გამოიყენონ ყველა ხელსაყრელი საშუალებანი, საუბრები იქნება ეს, თუ კრებები ან შესაფერი დემონსტრაციები, რათა ფართოდ იქნას ჩატარებული თესვის კამპანია.

არც ერთი გაუწმენდელი თესლი, ყველგან მწკრივად თესვა—აი ის ლოზუნგები, რომლებიც სინამდვილედ უნდა გადაიქცენ ჩვენში.

ამ საქმისათვის ერთი პირველი მომუშავეთაგანი სოფლის პიონერები უნდა იყონ.

აგრონომი.

სოფლის პიონერების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა—მუშაობა სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიზრუნოთ ჯანმრთელობაზე.

პიონერები კომკავშირის შემცვლელები არიან და ამიტომაც პიონერთა ჯანმრთელობის განმტკიცება ერთ-ერთ ძირითად ამოცანად უნდა ჩაითვალოს ამ მიზნით ფიზკულტურა ფართოდ უნდა განვითარდეს, განსაკუთრებით კი გაზაფხულის და ზაფხულის პერიოდში.

მთელ რიგ პირობათა გამო, როგორიცაა, მაგალითად, ბინების, ვარჯიშობისთვის საჭირო ინვენტარის უქონლობა, ზოგიერთ შემთხვევაში ანტისანიტარული მდგომარეობა კლუბებისა და სხვა, ზამთარში ფიზიკური კულტურის წარმოება ძალზე ფერხდება. ამიტომაც სწორედ ზაფხულზე გაცილებით უფრო მოხერხდება მისი ნორმალურ პირობებში ჩატარება. ზაფხულზე პიონერები თავისუფალი არიან სკოლაში მეცადინეობისაგან, რითაც საშუალება ეძლევათ ჯეროვანი ყურადღებით მოეპყრონ ძალ-ღონის აღდგენას და, საერთოდ, ფიზიკური გაჯანსაღების საქმეს.

იმ მიზნით, რომ თვითეულ პიონერ-კოლექტივს წარმოდგენილი ჰქონდეს ნათლად, თუ სახელდობრ რა უნდა გაკეთდეს ხსენებულ პერიოდში ფიზიკურ დარგში, ჩვენ აქვე კონკრეტულად ვიტყვით, თუ სახელდობრ რა ეკისრება თვითეულ პიონერ-კოლექტივს.

პიონერთა მოედნის მოწყობა.

1. რა უნდა გაკეთდეს. უკვე ჩაიარა სუსხიანმა ზამთარმა. მზემ თავისი უხვი სხივებით შეათბო დედამიწის ზურგი. ფოთლებმა და ყვავილებმა იწყო გაფურჩქნა და ბუნება ახალ, ლამაზ და საამურ სამოსელში გაეხვია, გაზაფხული მოვიდა. აწი უფრო ხშირ-ხშირად უნდა მივატოვოთ კოლექტივის დახურული ბინა, სადაც ისედაც დახუთული ჰაერია და მთელი მუშაობა პიონერთა მოედანზე უნდა გადავიტანოთ.

ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რამდენად სასარგებლოა ჩვენ ჯანმრთელობისათვის სუფთა ჰაერზე ყოფნა და ახლა, რაკი მოატანა გაზაფხულმა, შეძლებისდა გვარად უნდა მოვერიდოთ დახურულ ბინას, გავიდეთ გარეთ და დავუკავშირდეთ ბუნებას. მაგრამ რა უნდა ჰქნას ისეთმა კოლექტივმა, რომელსაც პიონერთა მოედანი არ გააჩნია? ცხადია, იგი ისევ დახუთულ შენობაში დარჩება, რითაც პიონერების ჯანმრთელობას დიდი ზიანი მიეყენება.

ამიტომაც მთელი ჩვენი ძალ-ღონით უნდა შევეცადოთ და შევძლოთ ისეთი მოედნის მოწყობა, სადაც შეგვეძლება მთელი გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში მუშაობა.

2. როგორ უნდა მოგვარდეს ეს საქმე. მთელ მუშაობას უნდა უხელმძღვანელოს კოლექტივის საბჭომ, რომელიც აძლევს დავალებებს პიონერთა კოლექტივის ამა თუ იმ რგოლებს.

ა) **უფროს რგოლს:** გამოარკვიოს, თუ რა არის საჭირო მოედნის მოწყობისათვის. რგოლმა უნდა გამოარკვიოს მოედნის გეგმის საკითხი, თუ სახელდობრ რა ინვენტარია საჭირო და სხვა.

ბ) **საშუალო რგოლს:** გასულ წელში საზაფხულო მუშაობისათვის მზადების მასალები. ამ მიზნით გადახედვა დღიურებისა, პიონერ—ჟურნალისა და სხვა.

გ) **უმცროს რგოლს:** გააფრთხილოს პიონერები, თვითეული მათგანი შეეცადოს და საჭირო ტანსაცმელი და ნივთები შეიძინოს (მოკლე შარვალი, ზეწარი, პირსახოცი მზის ვანებისათვის და სხვა). გარდა ამისა, რგოლმა უნდა გამოარკვიოს, თუ ვინ არის დაშვებული ექიმის მიერ მზის ვანების მისაღებად და ვის აქვს იგი აკრძალული.

ხსენებულ დავალებათა შესასრულებლად თვითეული რგოლი იკრიბება ერთხელ ან ორჯერ; როდესაც ეს პირველი დავალება შესრულებული იქნება, კოლექტივის საბჭო აძლევს რგოლებს ახალ დავალებას:

ა) **უფროს რგოლს:** ევალება შეიძინოს საჭირო მასალა, ფიცრები, ბოძები, სავარჯიშო იარაღები, ხელსაწყოები (ჩაქუჩი, ნაჯახი, ხერხი და სხვა). ბაკი წყლისათვის, პირსაბანები, საპონი და სხვა.

ბ) **საშუალო და უმცროს რგოლებს:** მოედნის მოწყობა და გალამაზება, გაკეთება დასაჯდომი ადგილების, მოედანი თამაშობისათვის, კლათბურთისათვის და სხვა. ბიბლიოთეკის შედგენა, ახალი ლოზუნგების დამზადება, ჟურნალის გამოწერა და სხვა.

ხსენებულ დავალებათა შესრულების შემდეგ კოლექტივის საბჭო კვლავ გამოააშკარავებს, თუ რა არის კიდევ გასაკეთებელი და იძლევა ახალ დავალებას.

გ) **მუშაობის აღრიცხვის ჩატარება.** მუშაობის დასრულების შემდეგ თვითეული რგოლი ამზადებს ჩატარებული მუშაობის აღრიცხვას და შემდეგ კოლექტივის საერთო შეკრებაზე შეაფასებენ უკვე დასრულებულ მუშაობას. რასაკვირველია, შეკრებაზე უნდა აღინიშნოს როგორც დადებითი მხარეები, აგრეთვე უარყოფითიც, რომ მომავალში ეს უკანასკნელი თავიდან იქნეს აცილებული.

მუშაობის შეფასების ანგარიში საჭიროა მოთავსდეს განსაკუთრებულ დღიურში.

3. რას შეიძენენ პიონერები ამ მუშაობისაგან. უწინარეს ყოვლისა, ამ მუშაობის წყალობით პიონერები დარწმუნდებიან, რომ საერთო ძალების შეთანხმებით შესაძლებელია დაბრკოლებათა გადალახვა.

ეს მუშაობა გაუღვივებს პიონერებს შრომის უნარს და ხელს შეუწყობს მათ მჭიდროდ შეკავშირებას.

მ. გორგაძე.

ჰაალე მერზებურგის ნორჩი პიონერები (გერმანია)

ჰაალე, 15 თებერვალი, 1927 წელი

ტფილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი სახლის პიონერებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

ულრმეს მადლობას გიძღვნით თქვენ მიერ გამოგზანილი მისამართისათვის და რუქისათვის, რომელიც გადმოგვცა ამხ. ალიზემ.

ამხ. ალიზემ გადმოგვცა, რომ ჩვენ მიერ შედგენილი კედლის გაზეთი უკვე მიიღეთ.

დიდი ხნის გავლის შემდეგ, ჩვენ გვსურს დავიჭიროთ თქვენთან რაც შეიძლება მჭიდრო კავშირი, რომელიც მოგვცემს საგებლობას იმით, რომ აქაც ღირსშესანიშნავად შეგვეძლება სხვადასხვა პრაქტიკული საკითხების ჩატარება.

გერმანიის პიონერების ერთი ჯგუფი დასასვენებლად აგარაკზე.

როგორც ჩვენს ახალგაზრდობას სურს დაიჭიროს მჭიდრო კავშირი აღმოსავლეთის პიონერებთან, ისევე ჩვენც, ხელმძღვანელები, უდიდესი სიხარულით ვიქნებით აღჭურვილი, თუ ჩვენ შორის მჭიდრო კავშირი იქნება გაბმული.

ჩვენ არამცთუ გვსურს ყოველწლიურად კონგრესზე შეხვედრა, ან რომელიმე ორგანოში წერილების მოთავსება, ჩვენ დაინტერესებული ვართ იმითაც, რომ გავეცნოთ თქვენი მუშაობის მეთოდებს, და თუ ჩვენ არ შეგვიძლია ვაწარმოოთ ისეთივე მუშაობა, როგორც არსებობს თქვენში (ამაზე ზრუნავს ჩვენი „დემოკრატიული" მამაპაპეული ბურჟუზია. რიცხვის რაოდენობით ჩვენ ბევრად ნაკლები ვართ თქვენზე), მაინც ვფიქრობთ, რომ თქვენ ბევრში დაგვეხმარებით ჩვენ.

მეცადინეობის მეთოდური საკითხები, საზაფხულო მუშაობა, დისციპლინის საკითხები,—ყოველივე ეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენთვის, რადგან ზემოაღნიშნულ საკითხებში ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვერკვევით, დაბნეული ვართ.

რა თქმა უნდა, თქვენ მიხვდებით, თუ ჩვენ, როგორც ხელმძღვანელნი, რისთვის მოგმართავთ თქვენ.

მოკლედ ჩვენს ორგანიზაციაზე:

ოლქი ჰაალე მერზებურგი წარმოადგენს გერმანიის ერთ-ერთ მთავარ ინდუსტრიალურ ცენტრთაგანს: აქ შეჯგუფულია ქიმიური, ლითონის და სამთო ინდუსტრია. აგრეთვე აქ არსებობს გერმანიის კომუნისტური პარტიის ძლიერი ჯგუფები, სამაგიეროდ ახალგაზრდა კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციები უმნიშვნელო რიცხვს წარმოადგენს. აქ ხელს გვიშლის ძლიერ ბევრი დაბრკოლება. ამის შესახებ შემდეგ გაცნობებთ. ჩვენს უდიდეს ნაკლს წარმოადგენს ხელმძღვანელების უყოლობა; თუ მომავალში შევძლებთ გავადიდოთ პარტმუშაკების რიცხვი, იმ შემთხვევაში ჩვენ მუშაობას დიდ საგებლობას მოვუტანთ და გაიზრდება ჩვენი წევრების რიცხვიც. ამჟამად ჩვენს ოლქში არსებობს 21 ორგანიზაცია 800 პიონერით.

შობის და ახალწლის შუა ხანებში ქ. კემნიცში შესდგა სრულიად გერმანიის პიონერთა მესამე ყრილობა. ჩვენმა ჯგუფმა გაგზავნა 10 დელეგატი: 4 პიონერი, 6 ხელმძღვანელი.

კონგრესზე ირჩეოდა უმთავრესად საორგანიზაციო ხასიათის საკითხები (სკოლის უჯრედების, აღზრდის, ახალი ხელმძღვანელების მომზადების, სკოლაში არსებული რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები და სხვა. ამ რეაქციამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც სათავეში ჩადგენ რეაქციონერები).

ამჟამად ჩვენ ვამზადებთ მოხსენებას კონგრესის შედეგების შესახებ, აგრეთვე ვმუშაობთ პიონერების საგაზაფხულო შეკრებისათვის. იმედი გვაქვს ჩავაბათ პიონერთა მუშაობაში სხვა მრავალი ახალი პიონერი და დავაარსოთ სპარტაკელთა მძლავრი ორგანიზაცია.

აღდგომის შემდეგ ჩვენს ახალგაზრდობას საზაფხულო მუშაობისათვის მოვამზადებთ.

პირველად ამ წერილს ვთვლით საკმარისად. ველით თქვენგან დაწვრილებით პასუხს თქვენი მუშაობის შესახებ. თუ მოისურვებთ რაიმეს გაგებას ჩვენგან, იმედი გვაქვს ავასრულოთ თქვენი მოთხოვნილება.

ძმური პიონერული სალამით

ნორჩ პიონერთა **საოლქო კომიტეტი.**

82
ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენი ძმები მსოფლიოში.

გაზეთის კითხვისთვის ქარხნიდან ითხოვენ.

(ამერიკა)

ამერიკაში ბავშთა კომჯგუფები რიცხვობრივად დიდი არ არის — სულ 5.000 კაცია, მაგრამ ბავშების პოლიტიკური აქტივობა იმდენად დიდია, რომ ეს 5.000 რამდენიმე ათიათასს სჯობია.

ყველა ქარხნებში, სადაც კი მუშაობენ მუშათა შვილები, ამერიკის ბავშთა კომჯგუფების წარმომადგენელები ახერხებენ შესვლას; ისინი ააშკარავებენ კაპიტალისტების ზრახვებს და ამხედრებენ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. ბავშთა კომჯგუფების გაზეთი „ახალგაზრდა ამხანაგი“ ისე მაგრად ურტყამს თავში ბავშთა სისხლის მწოველებს — ბურჟუებს და მათ ყურმოჭრილ მსახურთ — მასწავლებლებს, რომ ზოგიერთ ქალაქებში ამ გაზეთის გამოწერა აკრძალულია. ამ გაზეთის კითხვისთვის ბავშებს ითხოვენ სასწავლებლებიდან და ქარხნებიდან.

ბავშები კარგად აწარმოებენ პოლიტიკურ მუშაობას. ისინი ამბობენ სიტყვებს მიტინგებზე, ეწევიან აგიტაციას ოჯახში და სხვ.

პიონერთა ორგანიზაციის ხელმძღვანელების კონფერენცია.

ბერლინში შესდგა პიონერთა კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელების მესამე საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციას დაესწრენ გერმანიის, ინგლისის, საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიის, ნორვეგიის, შვეციის, დანიის, შვეიცარიის და ჰოლანდიის წარმომადგენლები.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში პიონერთა ახალი ორ-

გერმანიის პიონერები ისვენებენ.

განიზაციები მოეწყო ჩეხო-სლოვაკიაში, კანადაში, მექსიკაში, არგენტინაში, ჩილიში, ურაგვაიში, გაძლიერდენ ორგანიზაციები ჩინეთში, ინდონეზიაში და კორეიაში.

კონფერენციამ საჭიროდ სცნო პიონერთა ორგანიზაციების მოწყობა სასკოლო უჯრედების ნიადაგზე; კონფერენციამ აღიარა აგრეთვე, რომ ამ ორგანიზაციებს დახმარება უნდა აღმოუჩინონ კომკავშირმა და კომპარტიამ.

ნორჩ ლენინელთა ორგანიზაცია.

(ზესტაფონი).

1927 წლის 4 თებერვალს შესდგა ქალაქ ზესტაფონის პიონერ-ორგანიზაციის სარაიონო კრება. კრებას დაესწრენ: ზესტაფონის რკინისგზის ადგილ-კომთან არსებული ნ. პ. კოლექტივი, 9 წლედის, I საბჭოთა სკოლის და 7-წლედის კოლექტივები, სულ 300 პიონერი ქალ-ვაჟი.

კრებას დაესწრენ აგრეთვე წარმომადგენლები პარტ-უჯრედიდან, კომკავშირიდან, ქალთა ორგანიზაციიდან და კოლექტივების ხელმძღვანელნი.

დღის წესრიგში დასმული იყო:

1. პიონერ-ორგანიზაციის მუშაობა.
2. პიონერთა საღამოს შესახებ და
3. მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. მ. წერეთელმა, რომელმაც სთქვა: „თქვენ, როგორც მომავალი ლენინელები, მომავალი საზოგადოების აქტიური წევრნი, უნდა მოემზადოთ მუშაობისათვის, აღიჭურვოთ ცოდნით, შეეჩვიოთ კოლექტიურ შრომას და გახდეთ წმინდა ლენინელები, შეასრულოთ ლენინის სიტყვები ახალგაზრდობისადმი. ჩვენი ორგანიზაცია უნდა შემჭიდროვდეს და გაჯანსაღდეს, რომ შესძლოთ კომკავშირის ორგანიზაციაში მუშაობა. არა მარტო ოჯახში, არა მარტო ორგანიზაციაში, არამედ ყველგანაა საჭირო პიონერული მოვალეობის შესრულება“. მოხსენება მქუხარე ტაშით დასრულდა. მოხსენების შემდეგ პიონერები აძლევენ მრავალ შეკითხვას, რომელზედაც სათანადო პასუხს აძლევს მომხსენებელი. ქალთა ორგანიზაციის სახელით მოუწოდეს პიონერებს ე. მიქაშავიძემ და ბ. კ. ო. ზესტაფონის თემბიუროს თავმჯდომარემ ანგელინა წივწივაძემ, რომ მათ შეასრულონ ის ორგანიზაციული მუშაობანი, რასაც ავალებს მათ ნორჩ ლენინელთა ორგანიზაცია.

მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია.

მეორე საკითხზე ილაპარაკა ამხ. ან. წივწივაძემ. ის შეეხო პიონერთა საღამოებს და მოუწოდა პიონერებს მუშაობისაკენ. პიონერები დაინტერესდენ ამ საკითხით და დაადგინეს, რომ თითოეულმა კოლექტივმა მოამზადოს პატარა საბავშო პიესები, ლექსები, მოხსენებები.

საკითხების დამთავრების შემდეგ სცენიდან მოისმის ინტერნაციონალის ხმა, პიონერები მსწრაფლ დგებიან ფეხზე და მარჯვენა ხელის ზევით აწევით ისმენენ.

ინტერნაციონალის დამთავრების შემდეგ პიონერები მხიარულნი დაიშალენ და შინისკენ გასწიეს. საჭიროა ხშირად მოეწყოს ხოლმე პიონერ ორგანიზაციის გაერთიანებული კრებები.

ვარლამ გოლაძე.

სოფ. ახალდაგა.

(გორის მაზრა)

ჩვენ სოფელში არსებობს ორი კოლექტივი: რიკოვის და კარლ ლიბკნეხტის სახელობისა. უნდა ითქვას, რომ კოლექტივების მუშაობა დამაკმაყოფილებელია. ორივე კოლექტივი აერთიანებს 180 ნ. პ. და ოქტომბრელს, რომელნიც გლეხის და მუშის შვილები არიან. კოლექტივში არსებული წრეების მუშაობა სისტემატიურია და ნაყოფიერი, აქვთ საკუთარი დროშები, საყვირები, ლენტები, ბარაბნები და სხვა, რაც საჭიროა კოლექტივისათვის.. ხელმძღვანელობას გვიწევენ ადგილობრივი ა. ლ. კ. კ. უჯრედები. საპატიო პიონერებიც ავირჩიეთ, რომელნიც დახმარებას გაგვიწევენ.

პიონერი პავლე ბლიაძე.

83
ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ უნდა დაწნა კალათები.

კალათების დაწვნა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, კალათები კი საჭიროა. ბანაკად გასულ პიონერებს ხშირად სჭირდებათ ის სხვადასხვა ნივთების გადასაზიდად. რადგანაც ბანაკად გასულ პიონერებს შეუძლიათ თავიანთი დრო გამოიყენონ მისი დამზადებისათვის, ამიტომ მა წერილში მოკლედ იქნება ახსნილ-განმარტებული კალათების დაწვნის წესები.

ნახ. 1.



ნახ. 2.

კალათები მზადდება ხეხილთა წნელისაგან, ჭილობისაგან, თივისაგან და ამავე დროს რა ზომისაც სურს თვით გამკეთებელს.

კალათის დასაწნავად იხმარება სამნაირი წნელი; პირველი წნელი საჭიროა ძირისა და სახურავების დასაწნავად, რისთვისაც წნელი მსხვილი უნდა იყოს.

მეორე წნელი იხმარება გვერდების დასამაგრებლად და უნდა იყოს პირველზე უფრო წვრილი და გრძელი, მესამე კი წარმოადგენს თვით საწნავ მასალას, რაც პირველ ორივე წნელზე ბევრად უფრო წვრილი და გრძელი უნდა იყოს.

ეს სამნაირი წნელი, რომელსაც მთლიანად მასალას ვუწოდებთ, მუშაობის დაწყებამდე წყალში უნდა დაილბოს, რომ უფრო ადვილად იღუნებოდეს.

დაწვნა იწყება შემდეგნაირად:

პირველი 8 ცალი წნელიდან ვაკეთებთ ჯვარს (სურათ. № 1), რისთვისაც ოთხ ცალ წნელს შუაგულში ჩავჭრით და გავუკეთებთ იმოდენა ნახვრეტს, რომ მეორე ოთხი წნელი გადიოდეს მასში. ეს რვა წნელი ერთნაირი ზომისა უნდა იყოს.

ჯვრად გაკეთების შემდეგ იქნება თექვსმეტი წნელი, რომელთა დაბოლოებანიც ცენტრში შეერთებულია ერთმანეთთან და შეუერთებელი თექვსმეტი ნაპირი კი გამოშვერილია გარეთ. ეს ჯვარი იქნება კალათის ფუძე, ანუ ძირი.

ასეთივე ჯვარი კეთდება სახურავისათვის.

როდესაც რვა სქელი წნელისაგან გავაკეთებთ ძირისათვის საჭირო ოთხნაპირიან ჯვარს, მაშინ შევუდგებით წვნას.

ვიღებთ ერთი ზომის ორ ცალ წმინდა წნელს და ვახვევთ ჯვარის ფუძის ირგვლივ, ისე რომ წნელების წვერების ერთი წვერი მოჰყვეს ჯვარის ქვეშ, მეორე კი ზევით.

წვნა იწყება მარცხენა ხელიდან მარჯვენისაკენ.

შემდეგ ვიღებთ კიდევ ორ ცალ იმისთანავე წნელს და იმნაირადვე ვახვევთ ჯვრის ფუძეს, მხოლოდ ამ შემთხვევაში ის მხარე წნელისა, რომელიც ზევით იყო, მოჰყვება ქვევით, ქვევითა კი ზევით.



ნახ. 3.



ნახ. 4.

შემდეგ ჯვრის გვერდებს ვყოფთ ორ-ორად და და წნელს ვახვევთ განცალკევებული ორ-ორი წნელის გარშემო. ამას ვიმეორებთ ორჯერ. შემდეგ ჯვრის გვერდებს კიდევ ვანცალკევებთ და ისეთივე წესით ვახვევთ წნელს გარშემო. ჯვარის გვერდების განცალკევებული წვერები იღებენ ისეთ მდგომარეობას, როგორც ეს ნაჩვენებია მეორე და მესამე სურათზე.

ჯვრის გარშემო წნელების შემოხვევის დროს აუცილებელია გადაწნული ადგილების ერთმანეთთან მჭიდროდ მიყვანა, რაც უნდა ხდებოდეს ჩაქუჩის დარტყმით.

შეიძლება დაწვნის დროს რომელიმე წნელი ან გადატყდეს, ან კიდევ მოკლე გამოდგეს. მაშინ ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღებთ ახალ წნელს და ვუყრით მას გადაწნული ადგილების შუა, მხოლოდ ისე, რომ მისი წვერი მიმართული იყოს კალათის ძირის ქვედა მხრისაკენ.

კალათის ძირის დაწვნის შემდეგ ზედმეტად დარჩენილ წნელების წვერებს შევაჭრით და შევუდგებით კალათის გვერდების წვნას.

ახლა ვიღებთ მეორენაირ წნელებს, წვერებს ვუწმინდავებთ, რომ ადვილად ჩავსვათ კალათის ძირში სიბრტყეზე, ისე როგორც ნაწვენებია მეოთხე სურათზე. გაყრის ადგილებში, ესე იგი ძირის ნაპირებში, გაყრილ წნელებს ვლუნავთ ისე, რომ მათი მეორე წვერები შეერთდეს და კანაფით შეიკრას.

ძირის გადაწნულ ადგილებში გაყრილი წნელები წარმოადგენს გვერდების ბურჯებს, რომლის გარშემოც ვუყრით მეორენაირ წნელს. ამისთვის ვიღებთ სამ წნელს ერთად და ვუყრით იმ ანგარიშით,



ნახ. 5.



ნახ. 6.

რომ გაყრილი წნელის გარეთ მოსჩანდეს ორი ბურჯი, შიგნიდან კი ერთი. ამას გავიმეორებთ რამდენჯერმე და შემდეგ კი უკვე შეიძლება ბურჯების გახსნა, კანაფის მოცილება. (სურათი № 5 და 6).

ყველა ამის შემდეგ უკვე ვიწყებთ მესამენაირი წნელის გაყრას ბურჯებს შორის, მხოლოდ ისე, რომ წნელებს შორის შიგნითაც და გარეთაც მოსჩანდეს თითო ბურჯი.

ამ მესამენაირი წნელისაგან ვქსოვთ გვერდებს იქამდე, ვიდრე კალათის წვეროს ოთხი თითის მანძილით არ დავუახლოვდებით. აქედან უკვე უნდა დავიწყოთ მეორენაირი წნელისაგან წვნა, რადგან ეს ადგილი უნდა წარმოადგენდეს კალათის არშიას და სქელი წნელისაგან უნდა იყოს დაწნული.

რადგანაც გაყრილი წნელების საოავეში დარჩება ბურჯების ზედმეტი გამოშვერილი ნაწილები, ამიტომ ეს უკანასკნელები უნდა მოიღუნოს და ჩასობილ იქნას ნაწნავის ღია ადგილებში ისე, რომ არ ეტყობოდეს. (სურათი № 7 და № 8).



ნახ. 7.



ნახ. 8.

კალათის გამკეთებელს უნდა ახსოვდეს, რომ წნელები კარგა დამბალი უნდა იყოს და ამავე დროს დაწვნის დროს კარგად და მჭიდროდ უნდა ვუახლოვებდეთ ერთმანეთს.

სახურავი მზადდება ისეთივე წესით, როგორც ძირი. თუ საჭიროა მისი ჩარგვალება, ეს შეიძლება ხელის უბრალო დაწოლით.

სახურავს შეიძლება გაუკეთდეს ხელსაკიდი და დასაკეტი, რაც უნდა დამზადდეს მესამენაირი წნელისაგან, წამი წნელის ერთმანეთთან გადაწვნით. (სურათი № 9).



ნახ. 9.

ეს დაწნული ხელსაკიდი ან საკეტი ბოლოებით მაგრდება საჭირო ადგილებში, შიგნითა მხარედან გადაკვანძით.

კალათების დამზადება შეიძლება ყოველივე ზომისა, ეს დამოკიდებულია იმ წნელისაგან, რომლისგანაც შემდგარია ძირის ჯვარი.

თუ ძირის ჯვრის ერთ ტოტს ავიღებთ გრძელს და მეორეს მოკლეს, კალათი მოგრძო გამოვა.

ჯვრის გვერდებთან შეფარდებით შესაძლებელია ყოველგვარი ზომის კალათების მიღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა თეთრეულიდან

ქუჩა.

გრიალებს ქუჩა, ქალაქის ძარღვი,
მასზე მავალი ხალხი დგანდგარებს,
მეეტლე ცხენებს ვერ უჭერს აღვირს,
იქვე მეურმე მორეკავს ხარებს.

მანქანათ სრბოლვა კაცს თვალებს ურევს,
ტრამვაის რონოდს ელექტრო ფერავს,
გული ძგერს, როს ვმზერ ავტოს და ურემს,
მანქანის გვერდზე უბრალო მკერავს.

გოგი შატბერაშვილი.

პიონერი

ჩვენს გულში შეჭრილია
ახალ ქვეყნის სიყვარული,
მტერთ წინაშე მტკიცედ ვიბრძვით,
როგორც მუშა-გლეხის შვილი.
სიმართლისა საპოვნელად
მედგრად იბრძვის ჩვენი გული,

წინ-წინ მიდის და იმარჯვებს
მდიდრებისგან დაჩაგრული.
წინ, წინ წავალთ ბრძოლის ველზე,
ახალ ქვეყნის მოყვარულნი,
კვლავ ცხოვრობენ მსოფლიოში
კაცისაგან დაჩაგრულნი.

ნ. ცაავა.

პიონერის ხმა.

გრგვინავს სამყარო ნორჩების ხმებით,
მათ არ აშინებთ მტრისა მუქარა,
გულსა ულრღნიან მტარვალთ სიმღერით:
„თქვენსა სამყაროს დავლეწავთ ჩქარა“.

ასე მღერიან პიონერები,
მათ ბანს აძლევენ მთანი, ველები:
„მოძმეთ გავხადოთ ყველა ერები
და ჩვენ კი ვიქმნეთ მათი მცველები.

დავლეწავთ ლუკმად ძველსა სამყაროს.
მის ნანგრევებზე ახალს აღვმართავთ,
რომ დაჩაგრულმა მუშამ იხაროს,
და მომავალს კი კომუნიზმით ვრთავთ“.

აი ეს არის პიონერის ხმა,
გულის სიღრმიდან ამოძახილი,
რისიცა სწადდა ყოველთვისა თქმა,
მაგრამ წინ უდგა მას ქარტეხილი.

პავლე კ. ბლიაძე.

რევოლუციის ზეიმი.

(რუსულიდან).

ქუჩა ღელავს, ზვირთებს ჰყრის,
ხმაურობს ის, სჭექს, გრგვინავს,
გრგვინავს ხალხი მძლავრად, ვით
ზღვის ტალღებში, მოფრინავს!
ირგვლივ დროშა წითელი,
მომღიმარი ყვავილნი,

და ისმის ხმა უფლების:
„ლამაზი მარგალიტნი!“
და დღეს ასე ზეიმობს
წითლად მთელი სამყარო.
გრგვინავს ხალხი, რომ ქვეყნად
სიმართლე დაამყაროს!

რევაზ გაბიჩვაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიკეთე საკუთარი კალენდარი.

რა დღეს იქნება წრეულს პარიზის კომუნის დღე? კვირას, ორშაბათს, ოთხშაბათს თუ შაბათს?

როგორ შეიძლება ამისი გამოცნობა წინდაწინ?

ვთქვათ, პიონერების კოლექტივის ბანაკად გასვლა დანიშნულია 27 მაისს. რა დღეს უნდა გავიდეს?

ან ჩვენი ჟურნალის მკითხველის სერგოს დაბადების დღე 30 აგვისტოს არის. რა დღე იქნება ეს დღე?

ყოველი პიონერი და მოწაფე ფიქრობს ხოლმე: 1 ოქტომბერს იწყება ჩვენ სასწავლებელში სწავლა; რა დღეს შემხვდება სოფლიდან ქალაქში ჩამოსვლაო? ან, ვთქვათ, ჩემი ძმა მიდის მოსკოვს, რა დღეს? კვირას, თუ სხვა რომელიმე დღეს? კვირას შეიძლება მისი გაცილება თავისუფლად.

როგორ უნდა გამოვიცნოთ ადვილად და სწრაფად, რა დღეს რა რიცხვი შეხვდება?

კალენდრის გადასინჯვა ყოველთვის უხერხულია და ამასთან ყოველთვის არც კი გვაქვს თან კალენდარი.

ვსინჯოთ, ჩვენ თვითონ გავიკეთოთ ჩვენთვის ჯიბის კალენდარი, რომლის საშვალებით ყოველთვის შეგვეძლება გავიგოთ, რა რიცხვს რა დღე ხვდება.

ავიღოთ 1927 წლის მარტი. ავიღოთ და დავწეროთ ქაღალდზე, რა რიცხვს მოდის ამ თვეში კვირა, ორშაბათი, სამშაბათი და სხვა დღეები. მივიღებთ ამნაირ ნუსხას:

ნუსხ. I

კვირა.		6	13	20	27
ორშაბათი		7	14	21	28
სამშაბათი . . .	1	8	15	22	29
ოთხშაბათი. . . .	2	9	16	23	30
ხუთშაბათი	3	10	17	24	31
პარასკევი	4	11	18	25	
შაბათი	5	12	19	26	

ამ ნუსხაში აღნიშნული ყოველი რიცხვი უნდა გაჰყოთ შვიდზე.

კვირადღე მოდის მარტის 6, 13, 20, 27. ყველა ეს რიცხვი, გარდა პირველი ექვსისა, იყოფა შვიდზე და რჩება ექვსი. შვიდზე ნაკლები რიცხვი კი, რომელიც არ იყოფა შვიდზე, ნაშთად უნდა ჩაითვალოს.

ორშაბათი ხვდება 7, 14, 21, 28. ყველა ეს რიცხვი იყოფა შვიდზე ისე, რომ არაფერი არ რჩება, ესე იგი, გამოდის 0. გაყოფისაგან ნაშთი **სამშაბათის** იქნება — 1. **ოთხშაბათის — 2, ხუთშაბათის — 3, პარასკევის — 4, შაბათის — 5, კვირის,** როგორც უკვე ვიცით, 6. ახლა შევადგინოთ მარტის რიცხვების 7-ზე გაყოფის შემდეგ მიღებული ნაშთების ნუსხა.

ნუსხ. II

კვირა		6	6	6	6
ორშაბათი		0	0	0	0
სამშაბათი	1	1	1	1	1
ოთხშაბათი	2	2	2	2	2
ხუთშაბათი	3	3	3	3	3
პარასკევი	4	4	4	4	
შაბათი	5	5	5	5	

რა უნდა გამოვიყვანოთ ყველა ამისაგან?

რა დღეს შეხვდება პარიზის კომუნის დღესასწაულის წლისთავი? ჩვენ ვიცით, რომ პარიზის კომუნის დღე 18 მარტს არის. გავყოფთ 18 შვიდზე და დაგვრჩება 4. ყველა რიცხვი მარტში, რომელიც გაიყოფა 7-ზე და ნაშთი გამოვა 4, პარასკევი იქნება. ასე რომ პარიზის კომუნის დღე წრეულს შეხვდება პარასკევს.

შეიძლება კიდევ უფრო მარტივად გამოვიანგარიშოთ.

18 : 7 და დარჩება 4. რიცხვი, რომელსაც არაფერი არ რჩება შვიდზე გაყოფის შემდეგ, არის მარტში ორშაბათი. შემდეგი რიცხვი, რომელიც იყოფა შვიდზე და რჩება 1, არის სამშაბათი; რჩება 2 — ოთხშაბათია და სხ. მაშასადამე, საჭიროა ვიცოდეთ, რომელ დღეს ხვდება ისეთი რიცხვი, რომელსაც, შვიდზე რომ გავყოთ, არაფერი არ რჩება, ე. ი. **რა დღეს ხვდება 7 რიცხვი.** დანარჩენის გაგება კი ადვილია.

წრეულს 7 მარტს შეხვდა ორშაბათი. როდესაც ორშაბათის რიცხვს გავყოფთ შვიდზე, არაფერი არ რჩება; რიცხვი 18 გავყოთ შვიდზე — დარჩება 4. ორშაბათი არის — 0, სამშაბათი — 1, ოთხშაბათი — 2, ხუთშაბათი — 3, პარასკევი. 4. ცხადია, რომ 18 მარტს იქნება პარასკევი.

სწორედ ასევე უნდა მოვიქცეთ ყველა თვეების გამოანგარიშების დროს და ყოველ თვეში ერთიდაიგივე გამოვა. შევიტყოთ, რა დღეს არის 7 რიცხვი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანარჩენის გაგება ისევე შეიძლება, როგორც მარტის გავიგეთ.

რა დღეს იქნება წრეულს ოქტომბრის დიდი რევოლუცია—17 ოქტომბერი? 17 : 7 დაგვრჩება 3. 7 ოქტომბერი შეხვდა პარასკევს, პარასკევს უნდა მივუმატოთ 3 დღე, ე. ი. პარასკევი—0, შაბათი, კვირა და ორშაბათი; წრეულს 17 ოქტომბერი შეხვდება ორშაბათს.

ახლა შევადგინოთ ნუსხა, რა დღეს არის 7 რიცხვი მიმდინარე 1927 წლის განმავლობაში ყველა თვეებში.

ნუსხა III.

იანვარი	თებერვ.	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტ.	სექტემ.	ოქტომ.	ნოემბ.	დეკემბ.
სამშაბ.	ორშაბ.	ორშაბ.	ხუთშაბ.	შაბათი	სამშაბ.	ხუთშაბ.	კვირა	ოთხშაბ.	პარასკ.	ორშაბ.	ოთხშაბ.

ამ ნუსხის საშვალებით შეგიძლიათ წინდაწინ შეიტყოთ, რომელი დღეც გინდათ, მაგრამ შეიძლება კიდევ უფრო გაიადვილოთ და გაამარტივოთ საქმე.

აღვნიშნოთ ყველა დღეები რიგობრივ ციფრებით შემდეგი ნუსხით.

ნუსხა IV

კვირა	0
ორშაბათი	1
სამშაბათი	2
ოთხშაბათი	3
ხუთშაბათი	4
პარასკევი	5
შაბათი	6

მესამე ნუსხაში აღნიშნული დღეები შევცვალოთ ციფრებით მე-4 ნუსხიდან და მივიღებთ შემდეგს:

ნუსხა V.

იანვარი	თებერვ.	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტ.	სექტ.	ოქტომ.	ნოემბ.	დეკემბ.
სამშაბ.	ორშაბ.	ორშაბ.	ხუთშაბ.	შაბათი	სამშაბ.	ხუთშაბ.	კვირა	ოთხშაბ.	პარასკ.	ორშაბ.	ოთხშაბ.
2	1	1	4	6	2	4	0	3	5	1	3

შეიძლება გამოვაკლოთ დღის სახელები და დარჩება მარტო თვეები და ციფრები და მე-4 და მე-5 ნუსხების დახმარებით შეიძლება შევიტყოთ, რომელ რიცხვს რა დღე იქნება 1927 წლის განმავლობაში.

გვინდა შევიტყოთ, რა დღე შეხვდება 29 ივნისს. 29 უნდა მივუმატოთ ციფრი, რომელიც ივნისის ქვეშ არის მე-5 ნუსხაში. ე. ი. 2, იქნება 31. გავყოთ ეს რიცხვი 7, მივიღებთ 3. შემდეგ დავხედოთ, რა დღეს უთანხმდება ციფრი 3 მე-4 ნუსხაში. ეთანხმება ოთხშაბათს. მაშასადამე, 29 ივნისი იქნება ოთხშაბათი. და ასე შეიძლება მთელი წლის კალენდარი ვიცოდეთ, ოთხი ნუსხის საშუალებით ასე ადვილათ გამოვიცნოთ, რა დღეც გვინდა.

თუ ჯიბის საათი გაქვთ, მე-5 ნუსხა სრულიადაც არ არის საჭირო. საათზე 12 ციფრია. მივიღოთ, ვითომც I—იანვარს ნიშნავს, II — თებერვალს, III—მარტს და ასე სხ. დავუსვათ ყველა საათის ნიშანს ციფრები (შეიძლება წერტილებიც, ციფრის რიცხვის ოდენი), მეხუთე ნუსხის ქვედა მწკრივში მოთავსებული, და მაშინ ყოველი დღის გამოსაცნობად საჭიროა მხოლოდ დავხედოთ საათს. ციფრი,



დასმული საათის ნიშანის ქვეშ, რომელიც ამა თუ იმ თვეს გამოსახავს, მივუმატოთ იმ რიცხვს, რომლის გაგებაც გინდათ, როგორც ზევით მოვიქეცით ისე, და რასაც მივიღებთ, გავყოთ 7. ნაშთის რაოდენობა მოვნახოთ მე-4 ნუსხაში, რა დღეა დასმული ამ ნაშთის პირდაპირ და სწორედ ეს დღე იქნება.

თუ საათი არ გაქვთ, შეიძლება დახატოთ საათი, ან იოლად წახვიდეთ მე-5 ნუსხით. ახლა თქვენ შეგიძლიათ თვითონ შეადგინოთ 1928 წლის კალენდარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწრაფო დეპეშა

წარმოიდგინეთ, რომ რევოლუციონური საქმის შესრულება დამოკიდებულია დეპეშის სწრაფად გადაცემაზე.

მოთამაშენი წარმოადგენენ დიპლომატიურ შიკრიკებს და ეწყობიან მოედანზე წრედ.

თუ წრე დიდია, ესე იგი, თუ შიკრიკებს შორის მანძილი ოცდახუთი ნაბიჯი მაინც არის, და ამავე დროს სათამაშო მოედანი პატარაა, მაშინ შიკრიკები ნაწილდებიან ჯგუფებად: თეთრებად და წითლებად და თავსდებიან სარბენად ბილიკის ორივე მხარეზე.

ყველანი სდგანან წესიერად და ყოველი მოთამაშე ემორჩილება ამორჩეული ჯგუფის უფროსის განკარგულებებს.

პირველ შემთხვევაში, ე. ი. მაშინ, როდესაც მოთამაშენი ეწყობიან მოედნის მთელ სიგრძე-სიგანეზე წრედ, თამაშობა ხდება შემდეგნაირად:

ხელმძღვანელის განკარგულებით მირბიან პირველი ნომრები — შიკრიკები — და ხელში უკავიათ დეპეშა.

ყოველი მათგანი ცდილობს გაასწროს მტერს და გადასცეს ესტაფეტი თავისი ჯგუფის მეორე შიკრიკს.

გადაცემისთანავე შიკრიკი რჩება იმ ამხანაგის ადგილზე, რომელსაც გადასცა დეპეშა და რომელიც გაიქცა დეპეშის გადასაცემად.

რბენა გრძელდება იქამდე, ვიდრე ყველა შიკრიკი არ შეასრულებს ამ საქმეს.

თამაშს მოიგებს ის ჯგუფი, რომელმაც პირველად დაამთავრა რბენა და მიაწვდინა დეპეშა დანიშნულ ადგილას.

მეორე შემთხვევაში, თუ მოედანი პატარაა და მტრები დაჯგუფულნი არიან ბილიკების ორივე მხარეზე, თვითეული შიკრიკი შემოირბენს მთელ მოედანს და თავის ძველ ადგილზე დაბრუნებისას გადასცემს ესტაფეტს თავისი ჯგუფის მორიგ ნომერს.

როდესაც ყველა მათგანი შემოირბენს მოედანს, თამაში დამთავრებულად ითვლება.

თამაშის მოგების წესი რჩება ისეთივე, როგორც პირველ შემთხვევაში.

შიკრიკის შესახვედრად წრიდან გამოსვლა აკრძალულია.

ამოცანა კვადრატებზე

წარმოდგენილი მანისაგან.

ლ	ლ	ს	მ	გ	ი	ი	ქ	ვ	მ	ბ	ა	რ	თ	თ	ვ	პ	ბ	ა	ღ	ქ	ა
ლ	ს	ე	გ	მ	ი	ი	ნ	უ	დ	ბ	რ	რ	თ	თ	ყ	ხ	ვ	ა	ჩ	ე	ვ
ე	ე	ე	ე	მ	ი	ი	ა	ა	შ	ო	ნ	რ	თ	ო	ა	ნ	ო	ა	ო	შ	ვ

შეუცვალეთ უჯრედებში ასოებს ალაგი ისე, რომ გამოგივიდეთ ერთ-ერთი რევოლუციონური ლოზუნგი.

მანი.

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიდა და იყიდება სახელგამის გამოცემანი.

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის სალიტერატურო-სამხატვრო სექციის რედაქციით:

	ფასები:
„ნორჩი ძალა“—კრებული	15 კ.
„კოკროჭინა“ დ. დონდუასი . . .	10 „
„ბელა ბეკეკა“	10 „
„ტყის სურათები“—შ. მღვიმელის	25 „
„ჭიანჭველას საოცარი თავგადასავალი“	30 „
„თავისუფალ ბავშთა სიმღერები“ .	20 „
„ქართული მოძრავი თამაშობანი“	80 „
„ივანე სულელი“—ლ. ტოლსტოის	15 „
„მოძრავი თამაშობანი“ გოგლიჩიძის . . . . . 1 მ.	
„უძველესი დროის ბავშის თავგადასავალი“	15 „
„როგორ იცავენ თავს ცხოვრებლები მტრისაგან“—გ. ანთელიძის. .	25 „
„რას გვიამბობს ოთახი“	20 „
„ზღვის სიმდიდრე“	20 „
„პატარა იაპონელები“—ფერად ყდით	75 „
„ჩვენი უფროსი ძმები, ახალგ. კომკავშირლები“	10 „
„კომბლე“—სურათებიანი (ხალხური ზღაპარი)	65 „
„ლენინის საათი სკოლაში“	50 „
„ტაიგის საუნჯე“	40 „
„პიონერი სოფლად“	25 „
„საბავშო ბაღი“ . . . . . 1 მ.	
„მომღერლები“	15 „
„ნორჩ პიონერთა თანამგზავრი“ . .	20 „
„ნორჩი პიონერები და ბავშთა საერთაშორისო კვირეული“ . . .	20 „
„საბავშო სახლის ცხოვრება“ . . .	70 „
„იყავ მზად“	5 „
„კომკავშირო, მოამზადე მესამე წყება“	30 „
„ბავშთა კომუნისტური მოძრაობა“ შ. ტაბიძის	60 „
„საქართველოს პიონერ-ორგანიზაციის მორიგი ამოცანები“ . . .	15 კ.
„წელთაღრიცხვის ძველი და ახალი წესი“	35 „
„თინიკოს ამოცანები“	45 „
„პატარა ჰოლანდიელები“ ლიუსი ფიჩ-პერკინსის	80 „
„წითელკანიანები“—ხლებნიკოვის .	55 „
„ახალი ორთქლმავალის სიმღერა“—სპრეგ მიტჩელის	25 „
„ჩემი პატარა წიგნი“ ი. გრიშაშვილის და სტაროსელსკის.	50 „
„წითელი ვარსკვლავების მოგზაურობა საოცარ ქვეყანაში“ . . .	55 „
„მაღალი მთის და პატარა ნაკადულების ამბავი	30 „
„გელა და ცქვიტო“—ნ. კეცხოველის	45 „
„სიზმრად და ცხადად“	30 „
„მზე, მთვარე და ვარსკვლავები“ .	60 „
„ოქტომბრის დღეები“ . . . . . 1 მ.	20 „
„ჩემი ყვავილები“—შ. მღვიმელის .	40 „
„ცელქები“—შ. მღვიმელის	30 „
„პურის მარცვლის თავგადასავალი“	40 „
„აი როგორ ვმუშაობთ“ . . . . . 1 მ.	
„კოჭლი წიწილა“	25 „
„უცნაური ამბავი“—ვ. პარკაძის .	35 „
„ხარიტა“ – გუმილევსკის. . . . . 1 მ.	
„განახლებული დედამიწა“—ჰარვუდის . . . . . 1—20	„
„სიმღერები“—შავერზაშვილის . .	80 „
„საბავშო ბაღი“ ფერადი სურათებით 1 – 20	„
„დაღუპვის პირად“—სვენ გედინის.	25 „
„პირველყოფილი ადამიანის ყოფა-ცხოვრება“—ლუნკევიჩის . . .	30 „
„საბავშო ბაღი“—წიგნი ფერადი სურათებით“	12 „
„პირველი მაისი“ — პირველი მაისის დღესაწაულის ჩასატარებელ მასალათა კრებული	

იგეჭდება და ჩქარა გამოვა.

„სიმღერები“—ნ. შარაბიძე . . . .
„ვინ არის ყველაზე ძლიერი“—ჭანიშვილი და ძნელაძე . . . . . .
„აბ-აბ, სიამაყე მთებისა“—ე. მარკოვის, მოთხრობა, აფხაზეთის ცხოვრებიდან . . . . . .
„ათეული“ — ფერადი სურათებით. მ. მიქელაძე-ბაგრატიონი . . . .
„ჩემი მეგობრები და ნაცნობები“ .
მოთხრობები“—ი. ევდოშვილის .

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვა 1927 წ. გამოვა

ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული

ჟურნალი

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი II

ჟურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლებისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწერონ

პიონერი

მიიღება ხელის მოწერა 1927 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში—5 მან.
ექვს თვეს —3 მან.
სამ თვეს —1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი—25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი № 31, განათლების სახალხო კომისარიატი. „პიონერი"-ს და „ნაპკადული"-ს რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ტფილისი—11/III—27. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხ. პრ. № 91.
მთავარლიტი № 568 შეკვ. № 669/4759 ტირაჟი 2000.